# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№156 (9987) 2025 წლის 24 ნოემბერი, ორშაბათი


## ნუ გვცემთ, ნუ გვაშინებთ!



## სადღეისო სატირალი

იხ. 4 გვ.

„ეს ყველაფერი საწყენი და სატკენია...“



## გიორგი ჩიტაია – 135

5

სამშობლოს ფანატიკური სიყვარულით გულანთებული დიდი ეთნოგრაფი

## ერის დეგრუზინიზაცია მიშურად: გრუზინებად და ევროელიტარებად...

2 3



შალვა პაპუაშვილი:

## უკრაინის ხელისუფლების შავი დღე!

3

ვიქტორ ორბანი:

## უნგრეთი დაბლოკავს უკრაინის დახმარებაზე ევროკავშირის გადაწყვეტილებას იქამდე, ვიდრე კიევი არ დათანხმდება აშშ-ის გეგმას!

11

## ფრთხილად, გალაკტიონია!



6 7

ამირან გომართელი:

## აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის ვნებანი




## პოლიტიკური შანტაჟი და „გლობალური ომის პარტიის“ კულისები

იხ. 8 გვ.

# ხუთი ფაქტორი, რის გამოც ივანიშვილმა შესაძლოა მილიონები ვერ დაიბრუნოს

## მიხეილ ყაველაშვილმა 49 პირი შეიწყალა



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, 49 პირი შეიწყალა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, შეწყალება შეეხო 14 არასაპატიმრო და 34 საპატიმრო სასჯელის მქონე პირს, ხოლო ერთ პირს მოეხსნა ნასამართლობა.

„საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების გამოყენება ეფუძნება ჰუმანიზმის პრინციპს და სახელმწიფო ინტერესს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

**ერის სიდიადე იმითაც იზომება, თუ რამდენი დიდი შვილი ჰყავს. ამ მხრივ ჩვენი ისტორია შესაშურ სურათს წარმოაჩენს – თითქმის ყოველი საუკუნე გასხივოსნებულია დიდთა ქართველთა შუქით.**



**მიხეილ (მიშა, მიშიკო) სააკაშვილი ადრეული ასაკიდან მიიჩნევდა, რომ ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული და ამდენად საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია. ამ შთაგონებით წარუძღვა ვარდების რევოლუციას და პარლამენტში შეჭრილმა ჩაი შეუსვა ტრიბუნაზე მდგარ ედუარდ შევარდნაძეს.**

# ერის დეგრუზინიზაცია მიშურად: გრუზინებად და ევროელიტარებად...



**მსგავსი სიძულვილი საკუთარი ერისა, მშობელი ხალხისა პირადად მე არ მსმენია. ჯერ ამ ხალხის საძულველი ნაწილის სახელდება რად ღირს – გრუზინები, სრული ბარბაროსები, ჩამორჩენილები, ბოროტები, ვისთან შერიგებაც ამ ეტაპზე შეუძლებელია!..**

**ეს რწმენა, ცოტა არ იყოს, გაუცვდა 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როცა „ქართულმა ოცნებამ“ ისიც და მისი პარტიაც ძირს დასცა. მერე, მოგეხსენებათ, უკრაინაში სცადა ბედი და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, რამაც შთააგონა, ალგათ, „ოცნების“ მიერ „ოკუპირებული“ სამშობლოს დახსნა, ანუ თავისი ღვთივკურთხეული ერის ლიდერობის აღდგენა.**

გვახსოვს მისი ლეგენდარული სვლა არაჟნით სავსე ტრაილერით, რა გმირულად გაუძლო მან იქ კუჭვას, სამაგიეროდ ვერ გაუძლო ციხეში ყოფნას და იქამდე ივაგლახა, სანამ კლინიკაში არ გადაიყვანეს სამკურნალოდ. ეს 2022 წლის 12 მაისს მოხდა. მას შემდეგ 3 წელი და 7 თვე გავიდა, როგორც იქნა „გამოჯანმრთელდა“ და კვლავ ციხეში, რუსთავის მე-12 საპყრობილეში გადაიყვანეს.

**დიდი ბრძოლები ჩაატარა მან „ვივამედში“ „პატიმრობისას“. რაც მთავარია, გმირულად „იშიმშილა“ 60 თუ 100 დღე! მსოფლიოს ოპოზიციურმა ჯანდაცვის სისტემამ გამოაცხადა, რომ სააკაშვილი ფაქტობრივად გარდაიცვალა, მაგრამ ბუნების კანონების საწინააღმდეგოდ... ცოცხალი დარჩა! მთელი ამ ხნის მანძილზე ეს „მკვდარი კაცი“ რჩებოდა ნაცმოძრაობის ლიდერად და ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა ოპოზიციის ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ.**

ეს ამსიგრძე შესავალი სააკაშვილის მიერ 6 ნოემბერს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული „იდეოლოგიური დოქტრინის“ გამო დამჭირდა. აი, რას წერს მასში: „არანაირი ერთი საქართველო აღარ არსებობს. არის ორი, ცივილიზაციურად გაყოფილი საქართველო. ახლა უნდა მივხვდეთ ერთ რამეს – ჩვენ და მათ ერთ ქვეყანაში არ დაგვედგომება, სახეზეა ღრმა შეურიგებლობა და ძალიან ღრმა კონფლიქტი. საქმე ის არის, რომ ერთ მხარეს ვართ ცივილიზაცია და მეორე მხარეს სრული ბარბაროსობა, აქეთ მხარეს ვართ ევროპა, იქით – რუსეთი და აზია, აქეთ ვართ პროგრესი და იქით – სრული ჩამორჩენილობა. აქეთ ვართ სიკეთე და იქით არის ბოროტება. ჩვენ განვსხვავდებით ჩვენი საუბრის მანერითა და ლექსიკით, ჟესტიკულაციით, მიხვრა-მოხვრით, თვალების გამოხატულებით, განვსხვავდებით ანთროპოლოგიურად **(აუჰ, ახლა დაგვექცა ოჯახი! – ა. ა.)**. ასე რომ, შევეშვათ იმაზე ლაპარაკს, რომ ყველანი ერთნი ვართ. ამ ეტაპზე ჩვენი და მათი შერიგება ვერ მოხდება. გამარჯვების შემდეგ წინ გვაქვს ხანგრძლივი დეგრუზინიზაციის პროცესი, რათა აღარასოდეს დავუშვათ მათი აღზევება. ერთ ქვეყანაში არ გვედგომება. სინამდვილეში რაც გვაერთიანებს გრუზინებთან, არის, ალბათ, ის, რომ ერთნაირი კერძები მოგვწონს.“

**რის ილია, ჩემო მკითხველო, რის – „ენა, მამული, სარწმუნოება“!..**

**მსგავსი სიძულვილი საკუთარი ერისა, მშობელი ხალხისა პირადად მე არ მსმენია. ჯერ ამ ხალხის საძულველი ნაწილის სახელდება რად ღირს – გრუზინები, სრული ბარბაროსები, ჩამორჩენილები, ბოროტები, ვისთან შერიგებაც ამ ეტაპზე შეუძლებელია!.. მათი დეგრუზინიზაცია (რა ზიზღიანი, სიძულვილით გაჟღენთილი სიტყვაა!!!) აღარასოდეს უნდა დავუშვათო.**

ქვეყნის მესამე პრეზიდენტი, „ვარდების რევოლუციის“ ლიდერი, „საქართველოს სახელმწიფოს შემქმნელი“ მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომ არანაირი ერთი საქართველო აღარ არსებობს, ჩვენ და მათ – მეორე მხარეს ჩარჩენილებს ერთ ქვეყანაში აღარ გვედგომება, თურმე განგვასხვავებს ღრმა შეურიგებლობა და ღრმა კონფლიქტი, აქეთ მხარეს ვართო ცივილიზაცია, პროგრესი, ევროპა, სიკეთე...

მაგრამ ღმერთმა საბოლოოდ არ გაგვწირა – აღმოჩნდა, რომ მაინც არსებობს ერთი რამ, რაიც გვაერთიანებს გრუზინებსა და ერის ცივილიზებულ, პროგრესულ, ევროპულ ნასხლეტებს. ეს არის ის, რომ... ორივეს, ჩვენც და მათაც მოგვწონს ერთნაირი კერძები. ასე გადაგვარჩინა ხაჭაპურმა, ხინკალმა და ჩაქაფულმა ქართველები დამღუპველ გრუზინიზაციას და შვა იმედი, რომ ოდესმე, თუნდაც 7 საუკუნის შემდეგ, როცა მიხეილ სააკაშვილის ნაცმოძრაობის მიერ შექმნილი ახალი ქართველის იდეალი – ახალი საუბრის მანერით და ლექსიკით, ჟესტიკულაციით, მიხვრა-მოხვრით, თვალების გამოხატულებით გამორჩეული და, რაც მთავარია, ანთროპოლოგიურად სრულყოფილი ლევან ხაბეიშვილი და, ვთქვათ, ანა წითლიძე თანდათან ზოგადქართველის იდეალი გახდება(?!).

ლექსიკონის განმარტებით სიტყვა „ერის“, ანუ ნაციის მნიშვნელობა ადამიანთა სოციალურ-ისტორიული ერთობის ფორმაა, რომელიც ისტორიის პროცესში დროსთან ერთად იცვლებოდა და ვითარდებოდა. ერის კონცეფციას უკავშირდება ეთნიკური თანასაზოგადოების ან ეთნიკური ჯგუფის ცნება. ეთნიკურ ერთობას აქვს წარმოშობის მითი, წარმოშობის საერთო ისტორია, თვითმყოფადი კულტურის ელემენტები, საერთო ტერიტორიული კავშირურთიერთობები და ჯგუფური სოლიდარობის გრძნობა. ერი არის კულტურულ-პოლიტიკური ერთობა, რომლის წევრებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი ერთობა და საერთო ინტერესები.

აი, ეს გახლავთ ერი, რომელიც ბელადმა მიშამ ასე „მარჯვედ“ გაჰყო ორ არათანაბარ, უმსგავს ნაწილად და ამით გააუკუღმართა ამ სიტყვის შინაარსი. იგი ამას იმ მიზნით იქმს, რომ ყველა საშუალებით კიდევ ერთხელ შემოიკრიბოს თავის გარშემო ნაცმოძრაობის უბადრუკი ნაშთები.

**თვითონ კი რუსთავის ციხეში დაბრუნებისთანავე ბევრი არ უფიქრია, გადაწყვიტა, რომ მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის ძალუძს მისი შველა (შეუძლებლის შეძლება –12-წლიანი პატიმრობიდან დახსნა) და მეორე დღესვე თხოვნა აფრინა ალმოდებულ კიევში: გთხოვთ, ომის მშვიდობიანი ტყვეების სიაში ჩამრთოთო, მე ვარ უკრაინის მოქალაქე, ვიცი, რომ უკრაინელები თავისიანებს არ ტოვებენ და თქვენი იმედი მაქვსო.**

ჩანს, ამ აჯის წარმდგენს „აღარ ახსოვს“, როგორ აშარჟებდა სცენაზე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჯერ კიდევ კომიკოსი ზელენსკი საქართველოს დამარცხებულ პრეზიდენტს. მიშას, ალბათ, არც ის ახსოვს, თავისი საქმის სასამართლო განხილვის დროს კობზარის ენაზე რომ ალაპარაკდა და თარჯიმანი მოითხოვა, აქაოდა, უკრაინელი ვარო; უკრაინის დროშის ფერის მაისურითაც ცხადდებოდა, სანამ მობეზრებოდა. მობეზრებით კი მალე მობეზრდა...

წეღან რომ მიშას აჯა ვახსენეთ, გინდა ასე თქვით და გინდა ისე, მაგრამ ეს აჯა ადრესატმა... შეისმინა. პრეზიდენტ ზელენსკის მრჩეველმა პოდოლიაკმა განაცხადა, რომ პატიმარი ექსპრეზიდენტის ქართული ციხიდან დახსნა მათს დღის წესრიგშია და აქტიურად იღვწიან ამის მისაღწევად (სხვათა შორის, ეს ის პოდოლიაკია, რომელიც დაჟინებით მოგვიწოდებდა ახალდაწყებულ რუსეთ-უკრაინის ომში ჩართვას). როდესაც ინტერვიუს დროს ჟურნალისტმა ვახო ხუზმიაშვილმა პრემიერ ირაკლი კობახიძეს ჰკითხა, რა შანსი აქვთ უკრაინელებს მიშას გასათავისუფლებლადო, მან დაახლოებით ასე უპასუხა: მანამდე არ აუდგეთ გვერდებიო, ანუ ხალხურად თუ ვიტყვით – აი, ჩააფურთხონო!!!

აქვე არ შეიძლება არ გაგვახსენდეს მიშიკოს თანამებრძოლთა და იდეური დების სულისკვეთებანი:

**ნანუკა ჟორჟოლიანის „კონსტიტუცია“: მუხლი 1. „არ ვესხმით ქოცის დასანახად ერთმანეთს თავს, ვიდრე ქოცი არ დამარცხდება!“ ეს იმას ჰგავს, ტყუილის მთქმელი თავის უკანალს ატყუებდაო.**

**ია ფარულავამ საჯაროდ განაცხადა, რომ აგროვებს პეტიციაზე ხელმოწერებს აშშ-ის სენატში გასაგზავნად, რათა მან დროზე მიიღოს „მეგობარი აქტი“. ამ გრიყვს გინდა პირდაპირ მიახალო ძველებრაული წყევლა – „შენი არ იცოდე და სხვისი ვერ გაიგოო“.**

**თინა ბოკუჩავა ბედნიერი სახით: „მე ხელი ჩამოვართვი ფრიდრიხ მერცს, ურსულა ფონ დერ ლაიენს, კაია კალასს...სხვათა შორის, ხელი მაქვს ჩამორთმეული ბილ კლინტონისთვის!“**

როგორ არ გაგახსენდეს რეზო ჭეიშვილის მოთხრობის ერთი გმირის წატრაბახება: მე ტანკისტი ვიყავი...ომამდეო! ჰოდა, თუ თავის მოსაწონებელი ამის მეტი არაფერი გაქვს, ვაი, შენს პატრონს, უბედურს!

**მიშამ რომ ქართველი ერი ორად გაჰყო, საუკეთესო ნაწილი თავისად და თავისიანებად მიითვალა, იმ ნაწილმა – „კოალიციამ ცვლილებებისთვის", რომელიც სამ „გიგანტს" („ახალს", „გირჩი თავისუფლებისათვის" და „დროას") აერთიანებს, სამი უწმინდური ლიდერის ნიკა გვარამიას+ნიკა მელიას, ზურაბ გირჩი ჯაფარიძისა და ელენე ხოშტარიას ხელმძღვანელობით, ამ დღეებში ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სწორედ დროა ამ „საუკეთესო" ნაწილს ძაღლყურძენა (თუ უარესი არა) დააწურო თავზე.**

**მათ ღია წერილით მიმართეს ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოებს და პარლამენტს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, გაერთიანებული სამეფოსა და შეერთებული შტატების მთავრობებსა და პარლამენტარებს და კატეგორიულად მოითხოვეს:**

**1. დაუწესდეს პერსონალური სანქციები ბიძინა ივანიშვილს, ირაკლი კობახიძეს, ყველა იმ დე ფაქტო ოფიციალურ პირს, ვინც პასუხისმგებელია ოპონენტების პოლიტიკურ დევნაზე, სასამართლო მანიპულაციებსა და რუსეთთან თანამშრომლობაზე;**

**2. დაჩქარდეს „მეგობარი აქტის" მიღება აშშ-ს სენატის მიერ, როგორც ძლიერი სიგნალისა, ქართველი ხალხის პროდასავლური და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდასაჭერად;**

**3. შეწყდეს ყველა პოლიტიკური და ფინანსური ჩართულობა რეჟიმთან მანამ, სანამ არ გათავისუფლდებიან პოლიტიკური პატიმრები, არ შეწყდება რეპრესიები და არ აღდგება კონსტიტუციური წესრიგი;**

**4. აღიარებულ იქნეს საქართველოს დემოკრატიული ოპოზიცია, სამოქალაქო საზოგადოება და პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ქართველი ხალხის ევროპული ნების დემოკრატიულ წარმომადგენლებად.**

ესეც შენი ერის საუკეთესო ნაწილი, ერის ელიტა, მყარი აწმყო და საიმედო მომავალი!

**ხედავთ, როგორ უვარდებიან მუხლებში ამერიკას და ევროპას, სასწრაფოდ დაასანქციერეთ საქართველოს ხელისუფლება და მათ კვალზე მავალნიო; აშშ-ს სენატმა გოლოს და გოლოს გვაღირსოს „მეგობარი აქტის" მიღება, რათა საქართველოს მიდღემჩი ხმა აღარ ამოეღებოდეს ამერიკასთანო; მოგვეხმარეთ, რათა მაქსიმალურად, ყველა სფეროში წარმატებით დავუპირისპირდეთ რეჟიმსო; ოპოზიცია და პრეზიდენტი(?!) სალომე ზურაბიშვილი ქართველი ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენლებად გვაღიარებინეთო...**

**აი, ეს გახლავთ პრაქტიკაში ერის დეგრუზინიზაცია მიშურად: გრუზინებად და ევროელიტარებად!..**



**ალეკო ასლანიშვილი**



# საქართველოს პრემიერ-მინისტრი დღეს რომის პაპს შეხვდება



**საქართველოს მთავრობის მეთაურის შეხვედრა წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანთან, კარდინალ პიეტრო პაროლინისთან.**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე დღეს რომის პაპ ლეო XIV-ს შეხვდება. ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია**

**ირაკლი კობახიძე ვატიკანს დელეგაციასთან ერთად ეწვია, რომლის შემადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი, კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი არიან.**

# გიორგობა ყველგან იდღესასწაულეს!

**გილოცავთ გიორგობის დიდებულ დღესასწაულს. გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მოლოცვასა და კურთხევას,** – მიმართა გუშინ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა **შიომ (მუჯირი)** ქადაგებისას მრევლს.



**„მინდა თქვენთან ერთად, დიდი სიყვარულით მივულოცო გიორგობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. დიდია მისი სიყვარული და მოწიწება წმინდა გიორგისადმი და ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ამ შესანიშნავი ტაძრის კურთხევა სწორედ გიორგობა დღეს ისურვა. მადლობა ვუთხრათ მის უწმინდესობასა და უნეტარესობას მისი დიდი მამობრივი ღვაწლისთვის",** – განაცხადა მეუფემ.

**გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში გუშინ საზეიმო ღვთისმსახურება შესრულდა.**

# გეკა გელაძემ გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა საპოლიციო დანაყოფის 88 თანამშრომელი დააჯილდოვა

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გეკა გელაძემ გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით სამინისტროს მედლებით „მამაცობისთვის" სხვადასხვა საპოლიციო დანაყოფის 88 თანამშრომელი დააჯილდოვა.**

მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და სამართალდამცველებს სამსახურებრივი მოვალეობის ღირსეულად შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

**„მოხარული ვარ, რომ დღეს თქვენთან ერთად აღვნიშნავ გიორგობის დღესასწაულს და კიდევ ერთხელ მაქვს შესაძლებლობა, გადაგიხადოთ მადლობა თითოეულ თქვენგანს იმ დაუღალავი შრომისთვის, რასაც ყოველდღიურად ეწევით ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. თქვენ ნამდვილად ხართ ის ღირსეული პოლიციელები, რომელთა სიფხიზლე და თავდადება უზრუნველყოფს ჩვენი და ჩვენი შვილების გარანტირებულ, უსაფრთხო მომავალს. დღევანდელი დღეც არის სიმბოლური ხაზგასმა იმისა, რომ ჩვენ გულწრფელად ვაფასებთ იმ საქმეს, რასაც თქვენ ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ემსახურებით – იცავთ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას და ამყარებთ ქვეყანაში წესრიგს",** – განაცხადა **გეკა გელაძემ.**



უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფების თანამშრომლებმა ჯილდოები სხვადასხვა საპოლიციო ღონისძიების დროს გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისთვის მიიღეს.

# THE WASHINGTON POST-მა უკრაინაში სამშვიდობო გეგმის ევროპული ვერსია გამოაქვეყნა

**კიევის ევროპელმა მოკავშირეებმა წამოაყენეს ინიციატივა, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების რაოდენობაზე არანაირი შეზღუდვა არ დაწესდეს, რაც აშშ-ის სამშვიდობო გეგმის ერთ-ერთ პუნქტშია გათვალისწინებული,** – წერს The Washington Post-ი.

ევროპულ გეგმაში, რომლის ასლიც ჟურნალისტებმა მიიღეს, ასევე გათვალისწინებულია უკრაინისთვის ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურსა და კახოვკის კაშხალზე კონტროლის დაბრუნება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ დანარჩენი ტერიტორიული საკითხები ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ უნდა მოგვარდეს.

გუშინ ჟენევაში უკრაინის, აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების – გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები გაიმართა. ევროკავშირი კი უკრაინისა და აშშ-ის „სამშვიდობო გეგმის" საკითხზე სპეციალურ შეხვედრას დღეს, 24 ნოემბერს გამართავს.

ახალი სამშვიდობო გეგმის შესახებ ცნობილი 19 ნოემბერს, გამოცემა Axios-ის პუბლიკაციიდან გახდა, მოგვიანებით კი პრესაში მისი დეტალები გაჩნდა. ამ დეტალების თანახმად, შეთავაზებულია უკრაინის შეიარაღებული ძალების რაოდენობის შეზღუდვა 600 ათასამდე, ნაცვლად ამჟამინდელი 800-850 ათასისა. გეგმა ასევე ითვალისწინებს, რომ ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მეთვალყურეობის ქვეშ გადავა, ხოლო მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია რუსეთსა და უკრაინას შორის თანაბრად გადანაწილდება. გეგმაში ნათქვამი იყო, რომ ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებში საზღვარი კონტაქტის ხაზის გასწვრივ გაიყინებოდა. აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აღნიშნა, რომ უკრაინისთვის შეთავაზებული ამჟამინდელი სამშვიდობო გეგმა საბოლოო წინადადება არ არის...

# შალვა პაპუაშვილი: უკრაინის ხელისუფლების შავი დღე!

**ფაქტია, უკრაინის ხელისუფლება დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ არც ომის გაგრძელება შეუძლია და არც ომის დასრულება. ორივე არჩევანი არის მძიმე უკრაინელი ხალხისთვის,** – ასე გამოეხმაურა **შალვა პაპუაშვილი** უკრაინაში მშვიდობის დამყარების შესახებ გეგმას. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, სწორედ ამ არჩევანს სთავაზობდნენ მთავრობას „ენჯეოები" და გარე ძალები და პარლამენტთან მიტინგებს ატარებდნენ იმ მოთხოვნით, რომ საქართველო ესკალაციაში შესულიყო ქვეყანასთან, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი ომი წამოიწყო.

მისი თქმით, ამ ძალებს უნდოდათ, რომ საქართველოც ამ დღეში ჩავარდნილიყო, ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე კი ამას გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდებოდა.

**„ამიტომაც არის, რომ ქართული საზოგადოება ზუსტად ხვდება, თუ რასთან გვქონდა საქმე და რისკენ გვიბიძგებდნენ, ზუსტად ხვდება, რომ ის ძალები, რომლებსაც საქართველოს ჩათრევა უნდოდათ ამ უმძიმეს ომში, ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ",** – განაცხადა **პაპუაშვილმა.**

მისივე თქმით, **ასევე ყურადღებამისაქცევია ევროპელი ლიდერების მიერ გაჟღერებული განცხადება, იმის შესახებ, რომ ნებისმიერ სამშვიდობო გეგმას უნდა ჰქონდეს უკრაინისა და ევროპის თანხმობა. პაპუაშვილის შეფასებით, ამით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ეჭვებს, რომელზეც ევროკავშირის შიგნითაც მიდის საუბარი – რომ ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანას ამ ომში საკუთარი ინტერესები აქვს!!!**

## სადღეისო სატირალი

# ნუ გვცემთ, ნუ გვაშინებთ!

## „ეს ყველაფერი საწყენი და სატკენია...“



რედაქციაში წერილი მოვიდა... ეს ცნობილი რუბრიკა არ გეგონოთ, რომელიც ძველ ჟურნალისტებსა და გაზეთის მკითხველებს ჯერ კიდევ გახსოვთ. არა, ბატონებო, წერილი მაინც მოდის, წერილი კი არა, წერილები... ერთი მხრივ გვეამაყება, რომ ისევ გვთვლიან ყოვლისშემძლე კალმოსნებად, რომელთა ჟურნალისტური გამოძიებაც ქვას გახეთქავს, შეაზანზარებს „ზემოთ მჯდომთა“ ტახტებს, გაზეთში დაბეჭდილი წერილი კი უცებ განიხილება მერიაში, საკრებულოში, სამინისტროში, პარლამენტში, მთავრობაში და... დედა ეტირებათ ხალხის მტრებს, ქვეყნის დამაქცევართ და მშრომელთა ინტერესების შემლახავთ. ეს გვიხარია, რომ „გაზეთის გაზეთობისა“ და სიძლიერის კიდევ სჯერა ხალხს (უმეტესად თითო ოროლას, რადგან წერილებზე ხელის მომწერთა რაოდენობა იკლებს და ორიოდე შეწუხებულ-დაჩაგრული ხელმომწერის შემდეგ ყველაზე ცნობილი სიტყვა „და სხვები“ აწერია). მოკლედ ოცდამეერთე საუკუნის ორი ათეული გავნვლეთ კარგა ხანია, რედაქციებში აღარ არის ყოვლისშემძლე „წერილების განყოფილებები“, ზემოთ, ვისაც ხალხი უჩივის, გაზეთს კარგა ხანია არ კითხულობს და ყურადღების ღირსადაც არ თვლიან, არსებობს „ცხელი ზარი“, რომელიც ზრდილობის გულისთვის ყველა სამინისტროშია და სანამ გიპასუხებენ, უკვე „გაყინულ ზარად“ იქცევა და ათასგვარი მუსიკის მოსმენისა და გადამისამართების შემდეგ თავზარსა გცემს. მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არსებობს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც წერილებს გწერს, შენი ეიმედება და პასუხიც უნდა გასცე, რადგან ცივილურ სახელმწიფოში ცხოვრობ და ჟურნალისტი გქვია.



**ბოლო წერილზე მოგახსენებთ, ზრდილობიანად, ჩამოყალიბებულად დაწერილზე, რომლის სათაურიდანაც ჩანს, რომ მოქალაქეებს იმედი ჯერ კიდევ არ გადაუწურიათ და სჯერათ, რომ ეს საკითხიც მოგვარდება.**

**„სატკენია და საწყენია“**, ასე ჰქვია სულ ერთგვერდიან წერილს. მოქალაქეები არც რუსთაველის პროსპექტის გადაკეტვით იმუქრებიან, არც იმით ამუნათებენ მთავრობას, „თქვენი მომხრეები ვართ და ვრჩებით კიდეც, მაგრამ თუ არ მოგვხედავთ, ოპოზიციაში გადავალთო“, უბრალოდ ლაკონურად გადმოსცემენ გულისტკივილს და სამართლიანადაც, თან რჩევასაც იძლევიან, იქნებ ასე სჯობდეს, ჩვენ რომ სამართლიანად მიგვაჩნიაო. ერთი პატარა მაგალითიც მოჰყავთ, რომელსაც აქვე გთავაზობთ – **„ამას წინათ ახლობლის პანაშვიდზე საბურთალოს ეკლესიაში** (არ დაუკონკრეტებიათ რომელ ეკლესიაში, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. – **რედ.**)

**სულ თხუთმეტი წუთით შევედით, სამძიმრიდან გამოსულებმა ჩვენი მანქანა საბურთალოს საჯარიმო სადგურში აღმოვაჩინეთ, ჯარიმის ოდენობა კი ტელეფონით მივიღეთ, რაც პანაშვიდზე არ გვიტირია, იქ ვიტირეთ... 320 ლარი დაგვიჯდა მანქანის დახსნა“.**

იქვე მოქალაქენი თავიანთ წინადადებასაც გვთავაზობენ, ამ „ჩასაფრებით მანქანის გატაცების“ საპასუხოდ –

**„მობილურით მიღებული შეტყობინება ასაკოვანისთვის, რა თქმა უნდა, ზოგიერთისთვის, დიდ სირთულეს წარმოადგენს – უნდა მოძებნო საიტი, საკმაოდ რთული პროცედურა შეასრულო, შემდეგ გადაიხადო თანხა და დაიხსნა მანქანა. კეთილი ინებეთ და დააყენეთ აპარატები საპარკინგო ადგილებთან. ნუთუ ასეთი ძნელია ამის გაკეთება, როცა ბიუჯეტში ამდენი თანხა შედის?“**

წერილის ავტორები მიესალმებიან მომატებულ გადასახადებს სიჩქარის გადაჭარბებაზე, ნასვამ მძღოლთა მიმართ, პოტენციურად დამრღვევ მძღოლებზე, მაგრამ ითხოვენ მთავრობისგან, რომ თავიანთი დანაპირებიც შესრულდეს – მოეწყოს საპარკინგე სისტემა, გამართულად იმუშაოს ე. წ. „ჭკვიანმა შუქნიშნებმა?, მოეწყოს გზები, გაუმჯობესდეს საგზაო ინფრასტრუქტურა და სხვა.

**„არაადეკვატურად მაღალი ჯარიმები ხომ მოსახლეობის (მხედველობაში გვაქვს საშუალო და ღარიბი ფენა) ბიუჯეტს პირდაპირ ურტყამს. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ თბილისი ძველი ქალაქია, თავისი ორიგინალური ვიწრო ქუჩებითა და მთაზე შეფენილი სახლებით. ამ ვიწრო ქუჩებში მრავალსართულიან კორპუსებს რომ წამოჭიმავთ, რომელიც ქალაქის არქიტექტურასაც ამახინჯებს, ხომ უნდა იფიქროთ, რომ ამ კორპუსებს საპარკინგე ადგილიც შეურჩიოთ, რაც აუცილებელია და მგონი კანონშიც წერია. სადაც ათი ოჯახი ცხოვრობდა, იქ ასოჯახიანი კორპუსი შენდება.**

**იმ ვიწრო ქუჩაზე ოთხი მანქანა თუ იდგა, ერთდროულად ასი მანქანა (სულ მცირე, რადგან ოჯახში ორი-სამი მანქანა მაინც ჰყავთ) უნდა ჩადგეს. ეს პირობების გაუმჯობესება კი არა, მოსახლეობის წამებაა. ზოგს მანქანის გაჩერება საცხოვრებელი სახლიდან ორი-სამი გაჩერების მოშორებით უწევს, ან ყველაფერი დასწრებაზეა. შემდეგ მოდის გასამმაგებული და გაათმაგებული გადასახადები“, – ჩივიან შეწუხებული მოქალაქეები.**

ყველაზე საინტერესო წერილის ბოლო სტრიქონებია –

**„თუ ყველაფერი ეს ბიუჯეტის მხოლოდ შევსებით მიზნით ხდება (რაც ნათლად მიგვითითებს მოქალაქეთა „კანონიერ“ ძარცვაზე) ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ ამ ჯარიმების ნაცვლად ისეთ აქციაში მონაწილეობას და თანხასაც ჩავრიცხავთ, როგორიცაა „მეტი მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა ქალაქს!“, მაგრამ როდესაც მიზანმიმართულად გვაჯარიმებენ, ეს საწყენი და ძალიან სატკენია“.**

სრულყოფილი რომ გამოვიდეს მოქალაქეთა თხოვნა, აქვე გთავაზობთ ხელმომწერთა გვარებს – პატივისცემით **მ. დოლიძე, თ. ნავროზაშვილი, კ. გოკერია, თ. რუხაძე, ნ. ოთარაშვილი, გ. გოგუაძე.**

იმედია, მმართველი ძალა, ანუ ხელისუფლება, ამ შემთხვევაში ქალაქის მერია, მოსახლეობის სამართლიან სატკივარს გაითვალისწინებს. ნებისმიერი სამართალდარღვევა დასჯადი უნდა იყოს, ამის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ შენ მოსახლეობის ცხოვრების დონეს, პირობებსა და შესაძლებლობებსაც უნდა სცე პატივი და გაითვალისწინო. ცხოვრების დონის ადეკვატური უნდა იყოს სასჯელიც. არავინაა იმის წინააღმდეგი, პირიქით უნდა გასამმაგდეს და გამკაცრდეს კანონები არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების, სიჩქარის გადამეტების, საგზაო მოძრაობის წესების უხეშად დარღვევის გამო, მაგრამ საპარკინგე წესების დარღვევის, ტროტუარზე მანქანის რამდენიმე წუთით გაჩერების გამო, ასეთ კაბალურ მდგომარეობაში მძღოლთა ჩაყენება მეტისმეტია.

**ხელისუფლებამ იქნებ სხვაგვარი რეფორმები გაატაროს – მოაწესრიგოს ინფრასტრუქტურა, დაარეგულიროს ეფექტიანი საკანონმდებლო ზომებით ავტოსაშუალებების ქაოტური ზრდა. მოსახლეობის უმეტესობა, რომელიც ამ კანონებითაა შეწუხებული და უკმაყოფილო, ჯერჯერობით ხმას არ იღებს, იმედოვნებს, რომ ეს კანონი შეიცვლება, ან უფრო ლმობიერი გახდება. მაგრამ მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი? იქნებ ვინმეს მიზანმიმართულად აწყობს ხალხის აღშფოთება? მართლაც დასაფიქრებელია, ისე არ გამოვიდეს „შენიანი სცემე, რომ სხვას ეშინოდესო“!..**

## ამდენი ჯარიმებით ნუ გვცემთ, ნუ გვაშინებთ ქვეყნისა და თბილისის ხელისუფალნო!

მამუკა ვაშაკიძე



კვალი დროში

საქართველოს რესპუბლიკა

# სამშობლოს ფანატიკური სიყვარულით გულანთებული დიდი ეთნოგრაფი



## გიორგი ჩიტაია – 135

**გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი საქართველოში. იგი მიეკუთვნება XX საუკუნის იმ რჩეულ მამულიშვილთა თაობას, რომელიც დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელდებით ფუნდამენტურ მეცნიერებათა ეროვნული სკოლის სათავეში დადგნენ.**

**გ. ჩიტაიას წილად ხვდა ეთნოლოგიური მეცნიერების (1930 წლიდან ეთნოგრაფიის) მოთავეობა საქართველოში.**

XX საუკუნის 20-იან წლებში გიორგი ჩიტაია საქართველოში აფუძნებს ეთნოლოგიის (1930-იანი წლებიდან ეწოდა ეთნოგრაფია) დარგს, აყალიბებს დარგის განვითარების პერსპექტიულ გეგმას, საველე მუშაობის მეთოდიკას და ფუძემდებლურ საქმიანობას შლის რამდენიმე მიმართულებით: საველე, სამეცნიერო, სასწავლო, საფონდო, საექსპოზიციო, საგამომცემლო პროფილით.

გიორგი ჩიტაიამ საფუძველი ჩაუყარა ეთნოგრაფიულ კერებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეთნოგრაფიული მუზეუმის ღია ცის ქვეშ დაარსება გ. ჩიტაიას მრავალწლიანი ოცნების აღსრულება იყო.

გიორგი ჩიტაიას მრავალმხრივი მოღვაწეობის ფონზე სამუზეუმო საქმიანობას ყოველთვის ეჭირა რჩეული ადგილი. მას ეკუთვნის სამუზეუმო გამოფენების დეტალიზებული პროგრამის დამუშავება, რომელიც განხორციელდა რეგიონალურ თემატურ გამოფენებში და შემდეგ საფუძვლად დაედო ერთიან ქართულ ეთნოგრაფიულ გამოფენას. ამის პარალელურად აქტიურად მუშაობს სამუზეუმო საქმიანობის გაფართოებისათვის. საქართველოს მასშტაბით მისი კონსულტაციით დაარსდა 10 მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოგრაფიული კაბინეტ-მუზეუმი, თბილისის მოსწავლეთა სასახლეში ეთნოგრაფიული კაბინეტი.

გიორგი ჩიტაიას ბიოგრაფია დაიწყო 135 წლის წინ, 1890 წლის 23 ნოემბერს, ქალაქ ფოთში. 1907 წელს ფოთის საქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში, 1911 წლიდან ირიცხება პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე. 1913 წელს კენისბერგის უნივერსიტეტში ეუფლება გერმანულ ენას და ისმენს პროფესორ ბროკელმანის ლექციებს.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლება ეთნოლოგიის საფუძვლებს. 1916 წელს ამთავრებს უნივერსიტეტს, ბრუნდება სამშობლოში და ფოთის გიმნაზიაში იწყებს პედაგოგად მუშაობას.

ამ დროიდან იგი აქტიურად ერთვება პოლიტიკურ საქმიანობაში. არის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1918-21 წ.წ. ფოთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ტოვებს პოლიტიკურ სარბიელს და მთელ თავის ცხოვრებას ეროვნული მეცნიერების განვითარებას სწირავს. გიორგი ჩიტაია გარდაიცვალა 1986 წელს. 1987 წელს გიორგი ჩიტაიას სახელი მიენიჭა ეთნოგრაფიულ მუზეუმს ღია ცის ქვეშ.

იგი 200-ზე მეტი შრომის ავტორია სამეცნიერო ინტერესების ფართო დიაპაზონის მკვლევარს ეთნოგრაფიული ძიების არც ერთი უბანი არ დაუტოვებია ყურადღების გარეშე.

მთელი მისი შემოქმედება ეძღვნება ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურის ფესვების გამოვლენას და გენეტიკური კავშირის ძიებას წინა აზიის უძველესი ცივილიზაციის სამყაროსთან.

გ. ჩიტაიას შემოქმედებამ გამოავლინა ქართველი და სხვა კავკასიელ ხალხთა მდიდარი კულტურა, მაღალი მიღწევები სამეურნეო საქმიანობაში. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა-ძიების შედეგებმა სათანადო ადგილი დაიჭირეს კავკასიისმცოდნეობის ლიტერატურაში.

თავისი ცხოვრების მანძილზე გიორგი ჩიტაია ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი თაოსნობით საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება იცავდა იმ სახელოვან ტრადიციებს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ექვთიმე თაყაიშვილმა.

იყო რამდენიმე სარედაქციო კოლეგიისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი, მრავალი აკადემიური ჟურნალის, გამოცემათა სერიების, მონოგრაფიების რედაქტორი. სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემსწავლელი საერთაშორისო კომიტეტის წევრი, მსოფლიო ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ბიობიბლიოგრაფიის რედაქციის წევრი და ა.შ. მიწვეული იყო ბერლინის, ფილადელფიის, პარიზის, დელის საერთაშორისო ეთნოგრაფიულ კონგრესებზე.

ეთნოგრაფიული ველი იყო გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო კვლევის სათუთი უბანი. მრავალი ათეული წლის მანძილზე საქართველოში საველე ეთნოგრაფიული მუშაობა გიორგი ჩიტაიას უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. იგი იყო 40-ზე მეტი სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თანამედროვეობამ აღიარა გიორგი ჩიტაიას ღვაწლი ქვეყნის და ერის წინაშე. 2004 წელს გიორგი ჩიტაია „შრომების" ხუთტომეულისათვის დაჯილდოვდა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიით (გარდაცვალების შემდეგ).

2023 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაწყვეტილებით დაარსდა გიორგი ჩიტაიას სახელობის სახელმწიფო პრემია.

2024 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცა „ხუთტომეულის" მეორე შევსებული გამოცემა.

გიორგი ჩიტაიას ცხოვრება და მოღვაწეობა ერთ-ერთი ნიშანდობლივი ფურცელია XX საუკუნის 20-იანი წლების ჩვენი ეროვნული ინტელიგენციის თავგადასავალში: სამშობლოს სიყვარული და მისი ისტორიის პატივისცემა, ფანატიკური გატაცება საქმით, ძლიერი ნებისყოფა და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რაც კვლავ ახალი მიღწევების საწინდარი ხდებოდა.

**„მადლობა ყველას, საქართველოს ყველა კუთხეს თანადგომისათვის, მადლობა ჩემს ხალხს ასეთი მემკვიდრეობისათვის, მადლობა ყველა უსახელო ხუროსა და ოსტატს, რომელთა მარჯვენამ განადიდა საქართველო, შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური კულტურის საგანძური", – ამბობდა გიორგი ჩიტაია.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# წლის რჩეულ იუბილართან მხოლოდ ოქრო მიდის...



**გვიანი შემოდგომა ზეობს მრავალ დროების მომსწრე ქართლის მეთაურ ქალაქში...**
**10 ნოემბერი, გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა**
**50 წლის მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის, ჟურნალისტისა და მკვლევარ-ისტორიკოსის დავით ახლოურის იუბილეს მასპინძლობდა**

**„შენი ერგასიც მოსულა, დავით, როგორც მოსულა სხვათა!"** – ამ სიტყვებით გამოეხმაურა ღირსეულ მამულიშვილს ცნობილი გორელი მწერალი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი **ოლია ბრაგვაძე.**

საიუბილეო ღონისძიებაზე, რომელიც მწერალთა კავშირის ინიციატივით, გორისა და ატენის ეპარქიის მიტროპოლიტ **ანდრია გვაზავას** ლოცვა-კურთხევით ჩატარდა, მასპინძლებთან ერთად, სკოლის სამუსიკო დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული სტუმრები.

დამსწრე საზოგადოება დალოცეს მღვდელმსახურმა დეკანოზებმა: **ხვთისო სეხნიაშვილმა** და **გრიგოლ მჭედლიშვილმა.**

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა** მოკლედ ისაუბრა მწერლის ღვაწლზე და წლის რჩეულ იუბილარს პოეზიის მეფის გალაკტიონ ტაბიძის ოქროს მედალი გადასცა.

გულქართლი შემოქმედი, ნაყოფიერი პედაგოგიური და სამწერლო მოღვაწეობისთვის, იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო – 185 წლისადმი მიძღვნილი ოქროს მედლით დააჯილდოვა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარიანის სახლ-მუზეუმის დირექტორმა **ნათია ადუაშვილმა.**

მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ კოლეგა-მეგობრები: **გესიკ კაიშაური, ვახტანგ ცეცხლაძე, გოგიტა თუშმალიშვილი, დავით ქურიძე, ლევან გორვანელი,** რომელიც გორელებს ქუთაისიდან ესტუმრა...

სტუმარ-მასპინძლებით გადაჭედილ დარბაზში ჟღერდა დავით ახლოურის ლექსებზე დაწერილი ცნობილი ქართველი კომპოზიტორების სიმღერები. საიუბილეო საღამო **ანსამბლ „რიხმა"** (ხელმძღვანელი **ზურაბ წკრიალაშვილი**) „მრავალჟამიერით" დააგვირგვინა.

**როზერტ ოდიკაძე**

**გორი-თბილისი**



# აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის ვნებანი

## აქა ამბავი ალპების გადალახვისა, პაპულიას აკადემიკოსობისა და კიდევ ერთი ქალბატონისა

**– ასეთ თოვასა და გუქში გადავლახე ალპები.**
**– ალპები შენ გადალახე თუ სუვოროვმა?!**
**– მე გადავლახე, მე... და სუვოროვმაც.**

ეს დიალოგი რეზო ჭეიშვილის „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლიდან“, გამახსენა ინესა მერაბიშვილის სტატიამ – „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“ და მისმა უცერემონიო განცხადებამ: „მე **ნათელი მოვფინე ფრიად მნიშვნელოვან საკითხს“** (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, 2024, N1, გვ. 104) – *(ხაზგასმა ყველგან ჩემია –* ***ა.გ.****)*, რაც თურმე იმაში გამოიხატება, რომ: „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში საუკუნის მანძილზე ბურუსით იყო მოსილი მერის პროტოტიპის რაობა“. მიზეზი ამისა, როგორც ქალბატონი მერაბიშვილი გვამცნობს, იყო შემდეგი: „გავრცელდა ხმები, რომ ლექსი „მერი“ ეძღვნებოდა მერი შერვაშიძეს, სილამაზით განთქმულ ქალს... და, რომ გალაკტიონმა ეს ლექსი მერი შერვაშიძის ჯვრისწერის შემდეგ დაწერა... სამწუხაროდ, **ქართულმა აკადემიურმა წრეებმა ეს მოარული ხმები იწამეს...** ნაცვლად თანმიმდევრული კვლევისა, **ლიტერატორებმა სიცრუის დაჯერება და თქმა ამჯობინეს... მერი შერვაშიძის ქორწინების თარიღად, ნაცვლად რეალური 1918 წლისა, რედაქციამ 1915 წელი გამოაცხადა, რათა ეს თარიღი მოერგოთ მოარული ხმებისა და ჭორებისთვის.** ფაქტია, რომ ასეთი ცნობით **სიმართლის კარი დიდი ხნით ჩაირაზა... კვლევამ თავისი გაიტანა და მე ნათელი მოვფინე ფრიად მნიშვნელოვან საკითხს**, **საკუთრივ იმას, რომ გალაკტიონის მერი შთაგონებულია ბაირონის შემოქმედებაში არსებული პერსონაჟით, სახელად – მერი**“ („მაცნე“, გვ 105), ანუ აკადემიკოს ქალბატონს თუ დავუჯერებთ, ეს „ჩარაზული კარი“ მას გაუღია და „წყვდიადიც გაუნათებია“.

ახლა საკითხს იმის თაობაზე, თუ რამდენად დამაჯერებლად „მოჰფინა ნათელი“ ინესა მერაბიშვილმა, რომ გალაკტიონის მერი სი ქალბატონი შეგნებულად ცრუობს და უკადრებელს კადრულობს. ჩემზე იმიტომ არის უზომოდ განაწყენებული, რომ ჩემი სტატიაც – „იდუმალება შორეულ ტრფობის“ იმავე აკადემიის „მაცნეში“ გამოქვეყნდა ახლახან, 2025 წლის ზაფხულში და გამოყენებულ ლიტერატურაში აკადემიურ გამოცემებს ვუთითებ (რედაქტორები: იოსებ ლორთქიფანიძე და თეიმურაზ დოიაშვილი).

აბა, სხვაგვარად როგორ მოვქცეულიყავი, მეც ი. მერაბიშვილივით ხომ არ უნდა დამემალა აკადემიური თორმეტტომეულის არსებობა და მისი ტყუილების ტირაჟირება დამეწყო?! ეს ერთი და მეორე – უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი მისი აგრესიისა, უშვერი სიტყვებით რომ ილანძღება (აქ აღარ მინდა გავიმეორო), ისიც არის, რომ ხვდება, ყველას თვალში დაინგრა მის მიერ შეთხზული მითი, გალაკტიონის „მერი“ ბაირონის მერი ჩავორსით არის შთაგონებულიო. აქ ქალბატონმა ინესამ, სითამამესთან ერთად, ინტელექტუალური უმწიფარობა და ზედმეტი თავდაჯერებულობა გამოავლინა. ჰგონია, რომ მისი აკადემიკოსი კოლეგები მხოლოდ აკადემიის „მაცნეს“ კითხულობენ(!). წაიკითხეს შარშანდელი „მაცნე“ და დაიჯერეს ი. მერაბიშვილის განსაკუთრებული დამსახურება გალაკტიონოლოგიაში, დაიჯერეს მისი აღმოჩენები, ამირან გომართელის სტატიამ კი ყველაფერი წყალში ჩაუყარა. ნუთუ ვერ ხვდება, რომ ამით საკუთარ კოლეგებსაც მიაყენა შეურაცხყოფა?! ისე კი, რა თქმა უნდა, შეცდნენ, რომ არ უთხრეს, რა აღმოჩენებზე ლაპარაკობ, ეგ დიდი ხნის აღმოჩენილიაო. ახლა საკუთარი „დანაშაულიც“ უნდა ვაღიარო. მეც არ მივიჩნიე ჩიტი ბდღვნად და არსად დავწერე რაიმე ი. მერაბიშვილის პლაგიატორობისა და ფსევდომეცნიერული ძიებების შესახებ.

ტური ეპოქისადმი, რომელიც იყო შედეგი ნიცშეანური „ღმერთის სიკვდილისა“ და მისი თანამდევი ღირებულებების გაუფასურებისა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ჩემს წერილებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ვრცელი ადგილი ეთმობა იმის გააზრებას, თუ რა ადგილი უკავია ღვთისმშობლის ხატებას არა მარტო ლექსში „მერი“, არამედ ზოგადად, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, ოღონდ, ბუნებრივია, ამაზე აქ ვრცლად ვერ ვისაუბრებ.



ლი სიმბოლისტური პოეზიით, რომ გალაკტიონმა მერიში ღვთისმშობელი იგულისხმა, რომ „მერის“ პუბლიკაცია სამი წლით უსწრებდა მერი შერვაშიძის ქორწინებას“.

„მერი“ რომ თავდაპირველად „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა და მერის პუბლიკაცია სამი წლით რომ უსწრებს მერი შერვაშიძის ქორწინებას, ეს სად ამოიკითხა ი. მერაბიშვილმა, ამის თაობაზე უკვე ვისაუბრე. რაც შეეხება ლექსის თავდაპირველი სათაურის დაწერილობას, გალაკტიონს 1915 წელს ლექსი ლათინური ასოებით ბაირონის მერი ჩავორსის გამო არ დაუსათაურებია. მართალია, ღვთისმშობლის სახელი მარიამი ინგლისურად გამოითქმის მერი-დ, ოღონდ გალაკტიონისეულ დაწერილობას ლექსის სათაურისა – **MERI** – არავითარი კავშირი არა აქვს არც ამ სახელის ინგლისურ დაწერილობასთან და არც ბაირონთან. ქალბატონო ბაირონოლოგო, ახლა შეგახსენებ, თუ როგორ იწერება ინგლისურად მერი, გნებავს, მერი ჩავორსი – **Mary**; **Mary Chaworth**, გალაკტიონი კი წერს **MERI**-ს, რაც არის **Mary**-ს ინგლისური დაწერილობის რუსული ფონეტიკური ანალოგი. აქ, გალაკტიონთან, „ვერცხლის საუკუნის“ რუსი პოეტების გავლენა იჩენს თავს (ა. ბლოკი, ვ. ბრიუსოვი, კ. ბალმონტი, ზ. გიპიუსი...), ასე წერენ ისინი ღვთისმშობლის სახელს – **Мери** ან **Мэри.** თქვენ კი, ქალბატონო აკადემიკოსო, რადგან გალაკტიონთანაც მერია და ბაირონთანაც მერი, ყურები წაგვჭამეთ, გინდა თუ არა, ბაირონის მერი ჩავორსითაა შთაგონებული გალაკტიონის ლექსიო. ამას გლახა ჭრიაშვილივით იმეორებთ ყველგან, მოყოლებული 1993 წლიდან 2025 წლის ჩათვლით, არადა, თურმე გალაკტიონი მერის სახელსაც ბაირონისაგან განსხვავებულად წერს.

შთაგონებულია ბაირონის მერით, დროებით თავი ვანებოთ (შემდგომში აუცილებლად დავუბრუნდები) და, შალიკო ხვინგიაძისა არ იყოს, ალპები მე გადავლახეო, ქალბატონ ინესას ვკითხოთ, მერი შერვაშიძის ქორწინების თარიღი მართლა თქვენ დაადგინეთ, თუ სხვაგან ამოიკითხეთ?!

სხვაგან ამოიკითხა, სხვაგან, ქალბატონმა ინესამ და ყოვლად უღირსი საქციელი იკადრა – 2024 წელს აკადემიის „მაცნეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ასეთ ხერხს მიმართა, მხოლოდ გ. ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ტომის (1966 წ.) კომენტარი მოიხმო და შეგნებულად დაგვიმალა მეთორმეტე ტომის არსებობა (1975 წ.), სადაც გალაკტიონის ჩანაწერების კომენტარში შავით თეთრზე წერია, სად და რომელ წელს გამოქვეყნდა გალაკტიონის „მერი“ და, რომ – „მერი შერვაშიძე – ქუთაისის მკვიდრი, რუსეთის დედოფლის ყოფილი სეფექალი... 1914 წელს პეტერბურგიდან ქუთაისში დაბრუნდა, **1918 წლის 20 სექტემბერს ჯვარი დაიწერა. იგი ცოლად გაჰყვა გუცა (გიგუშა) ერისთავს“** (ტ. 12, გვ. 693). აი, რა ალპები გადაულახავს! აი, რას ასაღებს საკუთარი კვლევის შედეგად! აი, თურმე საიდან დაუდგენია მერი შერვაშიძის ჯვრისწერის თარიღი, ისევე როგორც ის, თუ რომელ წელს და სად გამოქვეყნდა „მერი“! მერე ამ ფაქტის მიგნებასაც დაიბრალებს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა/წლის 27 ოქტომბერს გამოქვეყნებულ უკიდურესად თამამ (არ მინდა, ის სიტყვა მოვიხმო, რასაც ის სხვების მიმართ იყენებს) ფსევდომეცნიერულ სტატიაში – „გალაკტიონის მზერას მაინც როგორ არ შეუშინდა პლაგიატორი“ – დაიჩემებს, ეს მე დავადგინეო და ჩემს წინააღმდეგ მთავარ არგუმენტად მოიტანს გალაკტიონის თხზულებათა მეთორმეტე ტომის კომენტარებში ამოკითხულს, განაცხადებს, ა. გომართელი ჩემი კვლევის შედეგებს იყენებს, თორემ საიდან იცის, ნუთუ ეს მისი თანდაყოლილი ცოდნააო.

ნუ მივაქცევთ ყურადღებას ამ ცრუ ბრალდებას, ნურც მთელი აკადემიური წრეების შეურაცხყოფას, შვიდი ათეული წელი რომ სიცრუე და ჭორი დაიჯერეს და საკითხს მხოლოდ ი. მერაბიშვილმა მოჰფინა ნათელი, ოღონდ ის აუცილებლად უნდა ვკითხოთ აკადემიკოს ქალბატონს, რატომ დაუმალა საზოგადოებას მეთორმეტე ტომის კომენტარი, რატომ ჰგონია, რომ წიგნი მხოლოდ ერთ ეგზემპლარად გამოვიდა, ისიც მისი პერსონალური საკუთრებაა და ვერავინ გაიგებს, რომ ალპები მას არ გადაულახავს, ოღონდ, განსხვავებით შალიკო ხვინგიაძის უწყინარი ტყუილებისგან, თანამეინახეებს რომ ართობს მოგონილი საომარი თავგადასავლებით, აკადემიკო-

**ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, იმ მონაკვეთში, სადაც ი. მერაბიშვილი ბაირონისა და მერი ჩავორსის ურთიერთობაზე ლაპარაკობს, ისეთს ვერაფერს ამოიკითხავთ, რაც საყოველთაოდ ცნობილი არ იყოს. ბაირონის კონტექსტში გალაკტიონის ხსენებაც პირველი არ არის. მანამდე სხვებსაც ჰყავთ ნახსენები, ოღონდ ეს ამბავი ვერ გასცდა იმ ფაქტს, რომ ბაირონთანაც მერია და გალაკტიონთანაც – მერი. მე არასოდეს მითქვამს, რომ გალაკტიონის „მერი“ შთაგონებულია ბაირონის მერით და ი. მერაბიშვილის რა კვლევის შედეგი უნდა გამომეყენებინა (მართალია, არ აკონკრეტებს, მაგრამ ხომ ამბობს, ჩემი კვლევის შედეგებს იყენებსო). ქალბატონი აკადემიკოსის ერთწინადადებიან ანალიზში ბაირონის ლექსისა – „სიზმარი“ – ნახსენები მერი ჩავორსი რეალური პიროვნებაა და მე კი ჩემს წიგნებსა და წერილებში იმას ვამტკიცებ, რომ გალაკტიონის მერი რეალური პიროვნება არ არის.**

ი. მერაბიშვილი „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბაირონის სხვა ლექსსაც ახსენებს – „ნაწყვეტი“, რომელიც მერი ჩავორსის გათხოვებას და მისდამი უიმედო სიყვარულს ეძღვნება. ბუნებრივია, ამ ლექსსაც არავითარი კონცეფციური კავშირი არ აქვს გალაკტიონის „მერისთან“. ასე რომ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, გალაკტიონის „მერისა“ და ბაირონის ლექსებს შორის აშკარა კონცეფციური სხვაობაა, გალაკტიონის მერი სიმბოლური სახეა, ღვთაებრიობის იდეალი, რომლისადმი ამაღლებული სულიერი ლტოლვა აქვს პოეტს.

გალაკტიონის ლექსში – „მერი“ – აღწერილი ჯვრისწერა ქორწინებაა, ქორწინება კი, თეოლოგიური გაგებით, ნიშნავს კავშირს ღვთაებრივთან – მოიაზრება, როგორც ღვთაებრივი და ადამიანური სულიერი ერთობის სიმბოლო. გალაკტიონის ლექსში კი საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე. **არშემდგარი სულიერი კავშირი ღვთაებრივთან – ესაა „მერის“ უმთავრესი სათქმელი.** ეს ლექსიც, „მერის“ ციკლის სხვა ლექსებთან ერთად, იმ უმძაფრეს კოლიზიას ასახავს, რასაც რწმენის კრიზისი იწვევს. აკი ამბობს კიდეც სხვა ლექსში პოეტი: „როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა? ვით ავიტანოთ უმადონობა?“.

ასე რომ, გალაკტიონის აქტიურ სიმბოლისტურ პერიოდში (1910-1920-ანი წლები) მკაფიოდ აისახა პოეტის დამოკიდებულება თანადროული ნიჰილის-

ახლა ისიც ვიკითხოთ, მართლა გახადა თუ არა ცხადი ი. მერაბიშვილის გამოკვლევებმა (როგორც თავად აცხადებს), რომ გალაკტიონის „მერი“ შთაგონებულია ევროპული და რუსული სიმბოლისტური პოეზიით. ასეთ ხმამაღალ განცხადებას არავითარი არგუმენტი, რომელიმე კონკრეტული ლექსის ანალიზი ან სხვა რაიმე დასაბუთება არ ახლავს. ასე მოკლედ და მარტივად გადაწყვიტა ი. მერაბიშვილმა პრობლემა. აბა, იმას ხომ არ იტყოდა, ამ საკითხის არგუმენტირებულ დასაბუთებას ჩემთან ვერსად ნახავთ – სხვასთან იხილეთო, ოღონდ ამ სხვაზე აუცილებლად უნდა თქვას, მისი არაფერი არ წამიკითხავსო. ამიტომ ამბობს ჩემი მონოგრაფიის – „სიმბოლისტური პროზის“ (1997 წ.) შესახებ: „მე ვერ მოვიცალე ამ წიგნის დასათვალიერებლად“(SIC!), იმასაც აცხადებს „ა. გომართელმა გალაკტიონზე პირველად აკადემიის „მაცნეში“ მოსინჯა ხელი“. ამაზე ითქმის, ისემც შენ რა გითხარი, აკადემიკოსო ქალბატონო! ი. მერაბიშვილი მშვენივრად იცნობს ჩემს წიგნსაც და არაერთ სტატიასაც. ამის თაობაზე მე მასთან ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ მისაუბრია. მერე, შეშფოთებულმა, რომ არაფერი მეთქვა მისი პლაგიატორობის შესახებ, წიგნიც მაჩუქა თვალთმაქცური წარწერით: **„ძვირფას კოლეგას – ბატონ ამირან გომართელს, სიკეთესა და წარმატებებში ავტორისაგან – ინესა მერაბიშვილი“** (ახლა, ამ „ძვირფასი“ მოძღვნის ფოტოს ჩემს წერილს ბოლოში დავურთავ). მე, რა თქმა უნდა, ამ თვალთმაქცობაზე გული არ ამჩუყებია. ჩავთვალე, რატომ უნდა გადამეტვირთა ჩემი წერილები გალაკტიონზე ი. მერაბიშვილის აბდაუბდა მოსაზრებებითა და მისი ყოვლად უსარგებლო კრიტიკით. არადა, რომ არ გავასაჯაროვე მისი არაკომპეტენტურობა და პლაგიატორობა, არაფერი ვთქვი ამის შესახებ არც ფეისბუქ და საჟურნალო სტატიებსა და არც წიგნებში („ლიტერატურული წერილები და ესეები“, თბ., 2005 წ.; „დაფარულსა გავაცხადებ“ თბ., 2025 წ.), სადაც შესულია წერილები გალაკტიონზე, გაღმა შედავება გაბედა.

ისე კი, ი. მერაბიშვილი იძულებულია თქვას, **„არ გეგონოთ, რომ გომართელს საკუთარ სტატიაში ჩემ მიერ ჩატარებული რომელიმე ლექსის ანალიზი გადმოაქვს“** (რაც არა აქვს, რას გადმოვიტანდი?!) და ასეთ ზოგად ფრაზას დაწერს: „ის მხოლოდ ჩემი კვლევის შედეგებს იყენებს ავტორის დასახელების გარეშე, როგორც მოცემულობას, მაგალითად, ის, რომ ლექსი „მერი“ თავდაპირველად დაბეჭდილია ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“, როგორც „Meri“, რომ გალაკტიონის მერი შთაგონებულია ბაირონის, აგრეთვე ევროპული და რუსუ-

ახლა კიდევ უნდა დავუბრუნდე ი. მერაბიშვილის ხმამაღალ განცხადებას – „მე ნათელი მოვფინე ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, საკუთრივ იმას, რომ **გალაკტიონის მერი შთაგონებულია ბაირონის** შემოქმედებაში არსებული **პერსონაჟით,** სახელად – **მერი.“** ამასთან დაკავშირებით ქალბატონი „მკვლევარი“ საკუთარ პუბლიკაციებს და მათ თარიღებსაც უთითებს – გაზ. „ლიტ. საქართველო“, 7 იანვარი, 1993; წიგნები: „გალაკტიონის ენიგმები“ 2004წ. და „გალაკტიონის „Meri“ – პროტოტიპების ძიება“, 2012 წ.

სინამდვილეში ი. მერაბიშვილმა არაფერსაც არ მოჰფინა ნათელი. პირიქით, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიასა და მის ორ წიგნში სრული გაურკვევლობა და დომხალია. არ გაგიკვირდეთ და, ი. მერაბიშვილისთვის გალაკტიონის მერის პროტოტიპი ხან მერი ჩავორსია, ხან მერი შერვაშიძე, ხან ოლია ოკუჯავა, ხან რაისა ჩიხლაძე და ხან გალაკტიონის მესამე ცოლი – ნინო კვირიკაძე.

დავიწყოთ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1993 წლის 7 იანვარს გამოქვეყნებული წერილით – „ბაირონიდან გალაკტიონამდე“, ანუ ვინ იყო გალაკტიონის მერი. აღნიშნულ სტატიაში ი. მერაბიშვილი გულმოდგინე **პარალელს ავლებს** რეალურ ქალს, ბაირონის **მერი ჩავორსსა** და გალაკტიონის ლექსის „მერის“ ლირიკულ პერსონაჟს **მერი შერვაშიძეს** შორის. ასე რომ, 2024 წელს „მაცნეში“ ტყუილად იკვეხნის, **„მე ნათელი მოვფინე ფრიად მნიშვნელოვან საკითხს“, გალაკტიონის მერის დაკავშირება მერი შერვაშიძესთან სიცრუე და ჭორია-ო.** არადა, 1993 წელს **„ლიტერატურულ საქართველოში“** გამოქვეყნებულ სტატიაში **მარტო მერი შერვაშიძე კი არა, როგორც ვთქვი, კიდევ რამდენიმე ქალია გამოცხადებული გალაკტიონის მერის პროტოტიპად. ერთი სიტყვით, პროტოტიპების ცვენაა.**

მაშ ასე, ვიწყებ ი. მერაბიშვილის ციტირებას: „ჩვენ **შორსა ვართ იმ აზრისაგან,** რომ **გალაკტიონის მერიში,** და საერთოდ, მერისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლში **მხოლოდ** სილამაზით განთქმული ქალი, **მერი შერვაშიძე დავინახოთ** (თურმე მხოლოდ მერი შერვაშიძის დანახვაც არ ყოფილა საკმარისი – **ა. გ.**). 1913 წ. **იწყება გალაკტიონის რომანი ოლღა ოკუჯავასთან,** „იწყება და, როგორც ნოდარ ტაბიძე აღნიშნავს – არ მთავრდება“. ამ თვალსაზრისით თითქმის აღარა აქვს აზრი კამათს იმის თაობაზე, „მერი“ 1914 წ. დაიწერა თუ 1915 წ. **და თუ „მერი“, მართლაც 1914 წ. დაიწერა,** რაზეც მიგვანიშნებს არაერთი ხელნაწერი, **მაშინ აღმოჩნდება,**

# ფრთხილად, გალაკტიონია!

საქართველოს რესპუბლიკა

**რომ ლექსის შექმნა წინ უსწრებდა მერი შერვაშიძის ჯვრისწერას. მერი შერვაშიძემ და გუცა ერისთავმა ჯვარი 1915 წლის 1 მაისს, თამარობა დღეს დაიწერეს“.**

აქ დროებით შევწყვიტოთ ციტირება და მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ 1993 წელს ი. მერაბიშვილმა საერთოდ არ იცის, როდის დაიწერა ჯვარი მერი შერვაშიძემ – 1915 წელს ასახელებს, მერე ამის გამო, თამამად რომ გაამათრახებს აკადემიურ წრეებს. მეტიც, ისიც სათუოდ გაუხდია, თუ როდის დაიწერა ან როდის გამოქვეყნდა „მერი“. ეს იმიტომ, რომ 1993 წელს ჯერ კიდევ არ იცის გალაკტიონის აკადემიური გამოცემის მეთორმეტე ტომის არსებობა, ამის შესახებ მოგვიანებით გაიგებს სხვებისგან, თუმც მერე ისე გათამამდება, რომ ყველაფერს საკუთარ აღმოჩენად გამოაცხადებს.

ვაგრძელებ ი. მერაბიშვილის ციტირებას:

„სერგი ჭილაიას მიაჩნია, რომ გალაკტიონის „მერი“ პოეტის არტისტული შთაგონების შედეგია, რომ **პოეტმა იწინასწარმეტყველა მერი შერვაშიძისადმი ტრფობის უიღბლო დასასრული,** რამეთუ იცოდა: მერის მას არავინ მიათხოვებდა“. მერე ამას ი. მერაბიშვილის კომენტარი მოსდევს: **„მერი“ მართლაც პოეტის არტისტული წარმოსახვისა და განცდის შედეგია, მისი ნაყოფი, მაგრამ მრავალმხრივი**“. მართალია, ვერ გავიგე რას ნიშნავს – „ნაყოფი, მაგრამ მრავალმხრივი“, მაგრამ არა უშავს, გავაგრძელოთ ციტირება: **„ეს არის პოეტის სევდა მერი შერვაშიძისადმი ტრფობის გამო** (იოსებ ლორთქიფანიძე), რომელიც, ამავე დროს აუცილებლად **განზოგადებულია**, საერთოდ **ქალის სიყვარულის ნიჭთან** (მიხეილ კვესელავა), მეორე მხრივ, ეს არის ქალისადმი სიყვარულის განზოგადებული სახე, **რომელიც აერთიანებს მერი შერვაშიძეს, ოლია ოკუჯავას, რაისა ჩიხლაძეს** (აკაკი ვასაძე)“.

მართალია, ი. მერაბიშვილი აქ სხვათა თვალსაზრისს მოიხმობს, მაგრამ, ფაქტია, ყველას ეთანხმება და შემაჯამებელ აზრს, რომ მერის სახე აერთიანებს „მერი შერვაშიძეს, ოლია ოკუჯავას, რაისა ჩიხლაძეს“, სათავისო დასკვნას დაამატებს, დიდი ინგლისელი პოეტის სულს შეაწუხებს და დაწერს: „და, ბოლოს ეს არის არტისტული განცდა იმ მარადიული ტრფობისა, რომელიც ბაირონის პოეზიას ადგა გვირგვინად“. ასე აგვირგვინებს ქალბატონი ინესაც მერის პროტოტიპების ძიებას (გაზ. „ლიტ. საქართველო“. 1993, გვ. 13.).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასე მგონია, ინესა მერაბიშვილისეულ კრებით სახეს გალაკტიონის მერის პროტოტიპებისა ერთი აკადემიკოსი ქალიც დაამშვენებდა, დროში რომ არ იყოს აცდენილი. აკი განაცხადა კიდეც – **„მერი“ გალაკტიონთან საყვარელი ქალის სახელის სინონიმია“**-ო. არ მითხრათ ახლა, ამას ქალბატონი ინესა როგორ იტყოდა, აკადემიის „მაცნეში“ ხომ სწორედ იმას საყვედურობს სრულიად საქართველოს აკადემიურ წრეებს, როგორ დაიჯერეს სიცრუე და ჭორი, თითქოს გალაკტიონის **მერი** მერი შერვაშიძეაო. კი საყვედურობს, მაგრამ ამას 2024 წლის პუბლიკაციაში წერს, როცა, როგორც იქნა, სხვისი ნათქვამი დაიჯერა. მართალია, საკუთარ მიგნებად გაასაღა, მაგრამ ეს არაფერი. ნურც იმას წამოვძახებთ, 1993-2004 წლებში ქალების მთელი გუნდი (მერი ჩავორსი, მერი შერვაშიძე, ოლია ოკუჯავა, რაისა ჩიხლაძე) რომ მერის პროტოტიპებად გამოაცხადა, მერე კი, 2012 წელს, გალაკტიონის მესამე ცოლი, ნინო კვირიკაძეც ზედ მიაყოლა. ასევე, იმ „მიგნებასაც“ ნუ დავუვიწყებთ, მერი კრებითი სახელიაო – „**მერი გალაკტიონთან საყვარელი ქალის სახელის სინონიმია**“. რა მოხდა მერე, ეს ყველაფერი ხომ ინესას გააკადემიკოსობამდე იყო?!

ახლა კონკრეტულად იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ნინო კვირიკაძე – მერი(SIC!). გალაკტიონის ლექსში „აღმართი“ არის ასეთი ფრაზა: „ნუთუ ეს არის შენი ახალგაზრდობა, მეგი?“ ლექსი, გალაკტიონის გერის, ნუნუ ებანოიძის, მოგონების თანახმად, გალაკტიონს მეუღლის ავადმყოფობის ჟამს საავადმყოფოში დაუწერია. თავდაპირველ ვარიანტში მეგის მაგიერ ყოფილა მერი. მეუღლეს უთხოვია, თუ ეს ლექსი ჩემდამია მიძღვნილი, მაშინ მერი რაიმე სხვა სახელით შეცვალე, თუნდაც მეგით, რადგან „ყველასათვის ცნობილია, რომ შენ მერის უძღვნი ლექსებს“. გალაკტიონსაც მერი მეგით შეუცვლია. ამ მოგონებას გვაცნობს ქალბატონი ინესა და ისეთ დასკვნებს გვთავაზობს, ჭეშმარიტ აკადემიურ მეცნიერს რომ შეეფერება: „როგორც ჩანს გალაკტიონმა ყურად იღო მეუღლის თხოვნა და „მერი“ მეგით შეცვალა, **ეს ნაამბობი ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ მერი გალაკტიონთან საყვარელი ქალის სახელის სინონიმია“** (გვ. 154). აქედან გამომდინარე, ი. მერაბიშვილმა იოლი, მაგრამ შეუვალი დასკვნა გააკეთა: გალაკტიონის მერი ნინო კვირიკაძეცაა, რადგან: **„გალაკტიონი ეტრფოდა ნინო კვირიკაძეს ჯერ კიდევ 1916 წელს, ე. ი. იმ პერიოდში როდესაც იქმნებოდა ციკლი მერისადმი მიძღვნილი ლექსებისა. ამდენად სამი ათეული წლის შემდეგაც შეეძლო პოეტს ნინო კვირიკაძე ისევ იმ სატრფოდ და იმ „მერიდ“ წარმოესახა“** (გვ. 157).

ვერაფერს იტყვი, ტაში უნდა დავუკრათ, „გენიალური“ აღმოჩენაა, გალაკტიონის მერი ნინო კვირიკაძეც ყოფილა, თანაც 1916 წლიდან გალაკტიონის სიცოცხლის ბოლომდე. ვაშა აკადემიკოსს!!! ნინო კვირიკაძეც განადიდა, რომელსაც დღიურებსა და ჩანაწერებში დიდად არ სწყალობს გალაკტიონი, ხშირად საყვედურსაც გამოთქვამს მის მიმართ; მკითხველის იმედიც გაამართლა და საკუთარი წიგნის სათაურიც – „გალაკტიონის „Meri“ – პროტოტიპის ძიება“. არ იქნებოდა ამის მოძიება თოვასა და ზუქში ალპების გადალახვაზე იოლი საქმე, მაგრამ, გიხაროდეთ, საბოლოოდ მაინც იპოვა „მკვლევარმა“ გალაკტიონის მერის კიდევ ერთი პროტოტიპი – ნინო კვირიკაძე. ამ ძებნა-ძიებაში ქალბატონმა ინესამ აკადემიკოსობაც (მო)იპოვა. ეს ხუმრობით, მაგრამ ახლა უნდა ვიკითხო, არ არის ასეთი მეცნიერი თითოეული ჩვენგანის, მთელი ჩვენი აკადემიური და სამეცნიერო წრეების სირცხვილი?!

*   *   *

**გააკადემიკოსებული ქალბატონის მიერ გალაკტიონის მერის პროტოტიპების ასეთი „წარმატებული“დადგენის შემდეგ ახლა ის გავარკვიოთ, თუ როგორ ხდება ი.მერაბიშვილის მიერ მერის (ანუ მისი პროტოტიპების) ღვთისმშობლის კატეგორიაში აყვანა.**

ჯერ ი. მერაბიშვილის ციტატა მოვიხმოთ სრულად, რომელიც ავტორს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მსხვილი შრიფტით საგანგებოდ გამოაყოფინა: „რაოდენ საამაყოა, რომ გალაკტიონი არამარტო განიცდის ბაირონის გავლენას, არამედ ანვითარებს და აღრმავებს მის სახეებს. თუ ბაირონის მერი მხოლოდ „საოცნებო სამყაროს დედოფალია“, როგორც თავად ინგლისელი პოეტი ბრძანებს, გალაკტიონს მერი ღმრთისმშობლის უწმინდეს კატეგორიაში აჰყავს (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 27.10.2025წ; გვ 7.) ასეთ აბსურდს ი. მერაბიშვილი თუ იტყვის, თორემ გალაკტიონს აზრად არ მოუვიდოდა. ი. მერაბიშვილის მიხედვით, გალაკტიონის მერის ყველა პროტოტიპი რეალური ქალია – მერი ჩავორსი, მერი შერვაშიძე, ოლია ოკუჯავა, რაისა ჩიხლაძე, ნინო კვირიკაძე. ერთი სიტყვით, ი. მერაბიშვილმა ქალთა მთელ დასს მისცა განღმრთობის (დეიფიკაციის) შანსი. ამ აბსურდში გახლართვა იმის ბრალია, რომ არც თვითონ იცის და სხვისი ნათქვამის გაგებაცა და გააზრებაც უჭირს აკადემიკოს ქალბატონს.

ასეთი აზრი, „გალაკტიონთან მერი ღვთისმშობლის კატეგორიაშია აყვანილი“, ი. მერაბიშვილმა 1993 წელსაც გამოთქვა „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, მაშინაც ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტირების გარეშე. არადა, როგორც მოგახსენეთ, სწორედ ამ სტატიაში გამოაცხადა მერის პროტოტიპად ახლახან ნახსენები ოთხი ქალბატონი, მეტიც, ლამის მთელი საქალეთი. ასე არ თქვა, გალაკტიონის მერი – „ეს არის ქალის სიყვარულის განზოგადებული სახე“–ო. ეს ყურმოკრული, ხუთად ხუთი სიტყვა „გალაკტიონთან მერი ღვთისმშობლის კატეგორიაშია აყვანილი“, რომელიც ყარაულის თოფივით გაუვარდა და ბუნებრივია, არავითარი მსჯელობა და არგუმენტირება არ ახლავს, ერთი აბზაცის შემდეგ მთლიანად უარყო და დასკვნის სახით განაცხადა: „ჩატარებული ანალიზი ჩვენ უფლებას არ გვაძლევს, ოდესმე ეჭვის ქვეშ დავაყენოთ მერი შერვაშიძისადმი ტრფობის უფაქიზესი ლეგენდა“ (გვ. 13). როგორც ვხედავთ, 1993 წელს (და შემდგომ კარგა ხნის მანძილზე) ვერაფრით შეელია მერი შერვაშიძეს. აი, მერე კი, 2024 წელს, სრულიად საქართველოს აკადემიური წრეები სამარცხვინო ბოძზე გააკრა, ჭორი და სიცრუე დაიჯერეს – გალაკტიონის მერი მერი შერვაშიძეაო.

*   *   *

**აკადემიის „მაცნეში“ გამოქვეყნებულ ჩემს 27-გვერდიან სტატიაში ქალბატონ აკადემიკოსს მხოლოდ ორად-ორი შეცდომა მოუნახავს და ისიც არა საკუთრივ ტექსტში, არამედ ჩემს მიერ მოხმობილ გალაკტიონის სტროფში; ერთგან წერტილის ნაცვლად მძიმე წერია და მეორეგან გალაკტიონისეული „ანგელოსის“ ნაცვლად ანგელოზი დამიწერია.**

მერე კი ამ ორ კორექტურულ შეცდომაზე ღრმად მეცნიერული დასკვნები გააკეთა და უკიდურესი აღშფოთება გამოხატა: „ა. გომართელმა არ იცის, რომ ქართულ ენაში „ანგელოზის“ პარალელურად იხმარება „ანგელოსი“. თავს არ გავიმართლებ და აღარ ვიტყვი, რომ წერტილის ნაცვლად მძიმე უბრალო კორექტურული შეცდომაა, არც ჩემს დაუკვირვებლობას დავაბრალებ – „ანგელოზი“ რომ დავწერე „ანგელოსის“ ნაცვლად. არ მცოდნია და მორჩა, რომელი აკადემიკოსი მე ვარ, ამდენი ვიცოდე?! ქალბატონ ინესას კი მარტო იმისთვის ეკუთვნოდა აკადემიკოსობა, რომ ასე გაგვანათლა და „ანგელოზი“ – „ანგელოსი“ პარალელური ფორმებიაო, განგვიმარტა. ახლა ამას დაუმატეთ ღრმად მეცნიერული მიგნება: „ანგელოსს“ იმიტომ წერს გალაკტიონი, რომ „შექმნას „ს“ ბგერის ალიტერაცია. სიტყვებში – „ანგელოსი“ და „ღვთისმშობელი“ ალიტერაციააო, გვეუბნება ქალბატონი აკადემიკოსი, რადგან ორივე სიტყვაში არის ასო „ს“. ვერაფერს იტყვი, ალიტერაციის ქრესტომათიულ ნიმუშს მიაგნო ქალბატონმა ინესამ. აი, თურმე ეს ალიტერაცია რომ დამემახინჯებინა, ამიტომ დამიწერია შეგნებულად „ანგელოზი“ „ანგელოსის“ ნაცვლად. ოღონდ, ქალბატონო ინესა, გალაკტიონის ფრაზაში: **„თვალთა ანგელოსთ შურო, შენ ღვთისმშობელო კარის“**, „ს“ ბგერა ალიტერაციულ ეფექტს ვერ ქმნის.

ახლა კი, ძვირფასო აკადემიკოსო ქალბატონო, მოდით, ერთად გავარკვიოთ, სინამდვილეში რა ქმნის ალიტერაციულ ბგერით ეფექტს ამ ორ ბწკარში:

„თვალთა ანგელოსთ შურო,
შენ ღვთისმშობელო კარის“.

აქ ალიტერაციული ბგერითი ეფექტი იქმნება **„შ“** და **„თ“** ბგერების მეშვეობით.

**„შ“** – ბგერითი ალიტერაცია – **შ**ურო, **შ**ე**ნ**, ღვთისმ**შ**ობელო.

**„თ“** – ბგერითი ალიტერაცია – **თვალთ**ა ანგელოს**თ**.

ახლა, ჩემო აკადემიკოსო ქალბატონო, ვნახოთ, არის თუ არა ალიტერაცია აგებული **„ს“** ბგერაზე. მართალია **„ს“** გვხვდება ორ სიტყვაში: „ანგელო**ს**თ“ და „ღვთისმშობელო“, მაგრამ **„ს“** ბგერითი ალიტერაცია მაინც ვერ იქმნება, რადგან სიტყვაში „ანგელოს**თ**“ **„თ“** ბგერა დომინირებს **„ს“**-ზე, ხოლო სიტყვაში – „ღვთისმ**შ**ობელო“ **„ს“** ბგერა ვერ გაისმის მკვეთრად, მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, **„შ“** ბგერა ჩაგრავს, სწორედ ის, რომელიც აგვირგვინებს ბგერით ალიტერაციას – **შ**ურო, **შ**ე**ნ**, ღვთისმ**შ**ობელო და არამც და არამც ის ბგერა, თქვენ რომ გგონიათ – **„ს“**. ამიტომ კორექტურა „ანგელო**ზ**ი“ ალიტერაციულ ეფექტს ხელს ვერ შეუშლიდა. ასე რომ, ამაოდ გაისარჯეთ.

ქალბატონი აკადემიკოსი ასევე მედავება გალაკტიონის ორი პწკარის ჩემეული წაკითხვის გამო, რომელიც ასევე განსხვავებულია მისი ინტერპრეტაციისაგან, მაგრამ მინდა ვიკითხო, ამის გამო პიროვნული შეურაცხყოფის მიყენება თუ შეიძლება?!

*   *   *

**ახლა პატივცემულ აკადემიკოსს კიდევ ერთხელ მინდა მივმართო, ქალბატონო ინესა, უნდა გითხრათ, რომ სიმბოლისტური პოეზიის ანალიზისას სრულიად ბუნებრივია სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. არ გაგიგიათ, სიმბოლო პოლივალენტურიაო (ანუ მრავალმნიშვნელოვანი)?**

ჩემი წიგნის გადასათვალიერებლად რომ ვერ მოიცალეთ, ეს სწორედ იმის ბრალია, თორემ ამაზე საგანგებოდ ვმსჯელობ და ნიმუშად რუსული სიმბოლიზმის იდეური წინამძღოლის, ვლადიმერ სოლოვიოვის ერთი ლექსის – „ტალღა – ზღვას განრიდებული“ – ანალიზიც მომაქვს. ასე რომ, თუ სადმე რომელიმე ლექსის, გნებავთ სტროფის ან პწკარის თქვენგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ნახავთ, ნერვები არ უნდა აიშალოთ, და თუ თქვენი აზრის დაფიქსირება გინდათ, ისე უნდა მოიქცეთ, როგორც აკადემიკოსს შეჰფერის. (აბა, ტყუილად მოიხვეჭეთ ეს მაღალი წოდება?!) და მას, ვისაც თქვენგან განსხვავებული აზრი აქვს, უტიფარი არ უნდა უწოდოთ.

ახლა ვნახოთ, ამ კონკრეტულ დავაში მართალი ხართ თუ არა? ოღონდ ჯერ მოიცადეთ, ჯერ გალაკტიონის სტროფის პირველ ორ პწკარს მოვიხმობ:

**ჯვარი, ლომი და კურო**
**ფარშავანგების არის.**

და ამ ორი პწკარის ჩემეულ ანალიზსაც:

ლომი და კურო მახარობლების სიმბოლური გამოხატულებაა და გორელიეფების სახით უხვადაა ჩვენს ტაძრებზე. ხარი (კურო) ლუკა მახარობლის, ხოლო ლომი მარკოზის სიმბოლური გამოსახულებაა; ფარშავანგი ქრისტიანობის მარადიულობის სიმბოლოა და ბარელიეფის სახითაა გამოხატული ტაძრებზე. გალაკტიონის მიერ ნახსენები „ფარშავანგების არე“ კი წმინდა არეა.

ახლა თქვენ დაგითმობთ სიტყვას:

„გომართელი წერს, რომ მეორე პწკარში სიტყვა „არის“ აუცილებლად ნიშნავს არეს, საკუთრივ იმას, რომ ჯვარი, ლომი და კურო განეკუთვნებიან ფარშავანგების არეს. იმისათვის, რომ ზმნას „არის“ ნათესაობით ბრუნვაში მყოფი არსებითი სახელის ფუნქცია შესძინოს, ხვდება, რომ მეორე პწკარის ბოლოს გალაკტიონის მიერ დასმული წერტილი ხელს უშლის. ამიტომაც პლაგიატორი წერტილის ნაცვლად ლექსში მძიმეს განათავსებს და თავის ცრუ ინტერპრეტაციას ამით ამაგრებს.

საუბედუროდ, გომართელმა არ იცის, რომ არსებითი სახელი „არე“ ნათესაობით ბრუნვაში იწერება არა როგორც „არის“, არამედ როგორც „არისა“.

ქალბატონო ინესა, როგორ შეწუხებულხართ ჩემს გამო. განიცდით, „საუბედუროდ გომართელმა არ იცისო“, მაგრამ არაფერია, ახლავე დაგამშვიდებთ და აგიხსნით, რომ „არე“ „ე“ ფუძეკვეცადი სახელია და ნათესაობით ბრუნვაში იქნება – „არის“. თქვენ კი ბეჯითად ამტკიცებთ, რომ ნათესაობითი ბრუნვა სიტყვისა „არე“ არის „არისა“, ოღონდ ვერ ხვდებით, რომ თქვენდაუნებურად მე მეთანხმებით, ჩემ წისქვილზე ასხამთ წყალს, არ იცით რომ სიტყვაში „არისა“ „ა“ სავრცობია. ახლა თვალსაჩინოებისათვის სავრცობს ცალკე გამოვყოფ – **„არის-ა“,** ხედავთ რა დარჩა – „არის“, ანუ მივიღეთ ნათესაობითი ბრუნვა სიტყვისა **„არე“**. ის, რისი ახსნაც ახლა მიწევს, გრამატიკის ელემენტარული საკითხია და მეხუთე კლასში ისწავლება. ახლა იმასაც აგიხსნით, თუ სიტყვას „არის“ გავიგებთ ზმნად, როგორც თქვენ ბრძანებთ, ნახეთ, რა გამოდის – ჯვარი, ლომი და კურო ფარშავანგების კუთვნილება ყოფილა (თქვენც ამას გვიმტკიცებთ სამწუხაროდ). ლომისა და კუროს თქვენეულ, გააზრებას რომ თავი დავანებოთ, ჯვარი როგორაა ფარშავანგის საკუთრება?! გალაკტიონი ჯვარს და მახარობლებს (ლომი – მარკოზი, კურო – ლუკა) წმინდა სივრცეში, წმინდა არეალში ღვთის დიდების სიმბოლოებად მოიაზრებს. ხოლო თუ ჯვარს, ლომსა (მარკოზი) და კუროს (ლუკა), როგორც თქვენ წერთ, „გალაკტიონი მიაკუთვნებს ფარშავანგს“, ეს იმგვარივე აბსურდია, როგორც თქვენს მიერ ადრე ნათქვამი: „გალაკტიონს მერი ღვთისმშობლის კატეგორიაში აჰყავს“, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თქვენ არამარტო ბაირონის მერი ჩავორსი, არამედ ქალების მთელი დასტა მერის პროტოტიპად გამოაცხადეთ.

გალაკტიონი ლექსში თითქოს აღრმავებს ქრისტიანულ იკონოგრაფიას, ხატავს საკრალურ სამყაროს, სადაც არის ღვთისმშობელი, რომელიც იწოდება მფარველად და მცველად ზეციური კარისა („შენ ღვთისმშობელო კარის“, – როგორც ამბობს გალაკტიონი), რომლის გავლითაც მოხდა სამყაროული ხსნა. ღვთისმშობელი – კარი/შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის.

სწორედ ღვთისმშობლისაკენ არის მიმართული „თვალთა ანგელოსთ შური“ – ზეციური ძალებიც ღვთისმშობლისაკენ მიისწრაფვიან. სულ ერთია, შურს გავიგებთ, როგორც პოეტურ ლიცენციას სიტყვისა მიაშურა, თუ შურს გავიგებთ როგორც საღვთო შურს, როგორც წადილს, ბაძვას, მისწრაფებას მსგავსი ღვთაებრივი ქმედებისაკენ.

გალაკტიონს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში საფუძვლიანი თეოლოგიური განათლება ჰქონდა მიღებული და იმას არ დაწერდა, რასაც თქვენ აბრალებთ, გასაგებია, ქალბატონო ინესა?! ზემოთ განხილული ერთი სტროფიც ლექსიდან – „საღამო“ – მე იმის ნიმუშად მოვიხმე და იმას ვაცხადებ ჩემს წერილში, თუ რაოდენ განსწავლული ყოფილა გალაკტიონი ქრისტიანულ სახისმეტყველებაში და რა მაღალმხატვრული ფუნქცია აქვს ამ ცოდნას მისი პოეზიის სიმბოლისტურ ნაკადში. ასე რომ, მე თქვენ კი არ გაგეჯიბრეთ გალაკტიონის ერთი სტროფის გაანალიზებაში, არამედ კონკრეტული მიზანი მქონდა. ახლა ესეც ხომ გასაგებია, ქალბატონო ინესა?! ოღონდ მე მაინც ვერ გავიგე, წერტილის ნაცვლად მძიმე რომ დავწერე, ამის გამო პლაგიატორად რატომ გამომაცხადეთ, არ გრძნობთ ცოტაოდენ უხერხულობას?!

*   *   *

**როცა ი. მერაბიშვილის სიცრუითა და ზღვარგადასული ამბიციურობით აღსავსე ფსევდოპოლემიკური წერილი წავიკითხე, ისევ შალიკო ხვინგიაძე და მისი ტრაგახი გამახსენდა. სამხედრო თათბირზე გერმანელთა ფიურერმა რომ დაადო რუკაზე ერთ წერტილს წითელი ფანქარი და გენერლებს მიუბრუნდა, აქ ვინ დგასო? უპასუხეს: „აქ შალიკო ხვინგიაძის ასეული დგას“. თუ ასეა, წაგვიგია ომი და ეს არისო!**

სოსო სიგუას დავურეკე, ეს კომიკური ეპიზოდი გავახსენე და ვუთხარი, წავიკითხე ინესა მერაბიშვილის სტატია და უნდა გითხრა, წაგვიგია ომი ამ ქალთან და ეს არის-მეთქი. ამაზე იმდენი იცინა, სულ დაავიწყდა ი. მერაბიშვილისგან მომდინარე ბრიყვული წყენა. ისე, რატომ ღმერთი არ გაიცინებს, სოსო სიგუა რომ წევრ-კორესპონდენტია, ეს ქალი კი აკადემიკოსი. ამიტომაც ბედავს, გამორჩეულ მეცნიერს ცოდნა და რედაქტორობა დაუწუნოს...

*   *   *

**მოდით, ახლა ცოტა მხიარულ ნოტზე დავამთავროთ ჩემი წერილი. გერონტი ქიქოძის მოგონებებში ამოკითხული ერთი ტრაგიკომიკური ამბით დავიწყებ. 30-იან წლებში კომუნისტებს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გახსნა ჰქონიათ გადაწყვეტილი. მოსკოვს აკადემიკოსობის კანდიდატთა სიის წარდგენა მოუთხოვია. თბილისიდან ჩასულ ემისარს უთხრეს, სია სერგო ორჯონიკიძეს გააცანიო. გადაუხედავს რკინის სახკომს აკადემიკოსთა სიისთვის და უთქვამს, ამ სიას მარტო ჩემი ძმა პაპული აკლიაო. ეცა თურმე თბილისელი ემისარი კალმისტარს, ახლავე დავამატებ ბატონოო.**

ცხონებული პაპულია, ძველი დროის აზნაურის ტიპი, ნადიმობა-ნადირობის მოყვარული იყო. მერე, როცა სერგოს წყალი შეუყენეს და პაპულია ტროცკისტობაზე დაიჭირეს, თვითმკვლელობის წინ სერგოს უთქვამს, რისი ტროცკისტობა, პაპულიას დაჭერა მხოლოდ ბრაკონიერობაზე შეიძლებოდაო.

ეს ამბავი ინესა მერაბიშვილის აკადემიკოსობამ გამახსენა. პაპულიას აკადემიკოსობისა არ იყოს, არის ამ ფაქტშიც კომიკურიცა და ტრაგიკულიც. სწორედაც რომ სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს.

ახლა „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“ გვერდზე გადავდოთ და რეზო ჭეიშვილის კიდევ ერთი მოთხრობა, ამ მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმი „ცისფერი მთები“ და ის ცნობილი ფრაზა გავიხსენოთ, რეფრენივით რომ გასდევს ფილმს – **გაიტანეთ გრენლანდია!** ანალოგიურად უნდა მივმართო ყველას, ვისაც ეს ეხება, გაიტანეთ ეს ქალი სამეცნიერო და აკადემიური სივრციდან!

– გაიტანეთ გრენლანდია! გაიტანეთ!



**ამირან გომართელი**




# ხუთი ფაქტორი, რის გამოც ივანიშვილმა შესაძლოა მილიონები ვერ დაიბრუნოს

## პოლიტიკური შანტაჟი და „გლობალური ომის პარტიის“ კულისები

**ბიძინა ივანიშვილის მრავალწლიანი დავა შვეიცარიულ საბანკო გიგანტთან – Credit Suisse, ფინალს უახლოვდება. თუმცა, კარგა ხანია, პროცესი გასცდა ფინანსურ ჩარჩოებს და მწვავე გეოპოლიტიკური დაპირისპირების ნაწილი გახდა. 24 ნოემბერს, ლონდონის სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გამოაცხადოს, მაგრამ „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ადვოკატები და მმართველი გუნდი პესიმიზმს ინარჩუნებენ. მათი თქმით, საქმე გვაქვს არა სამართლებრივ დავასთან, არამედ „ავაზაკურ რეკეტთან“, რომლის მიზანიც საქართველოს ომში ჩართვა იყო, ხოლო უარის თქმის გამო, ივანიშვილს სამაგიერო ამ ფორმით გადაუხადეს.**

**შვეიცარიულმა საბანკო სისტემამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, საიმედოობის ეტალონად ითვლებოდა, საკუთარ რეპუტაციას საბოლოო განაჩენი გამოუტანა. როგორც ირკვევა, „კრედიტ სუისმა“ პოლიტიკური დაკვეთით არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს, არამედ მისი ოჯახის წევრებს – მეუღლესა და შვილებსაც დაუბლოკა ანგარიშებზე წვდომა. მმართველ გუნდში ღიად აცხადებენ, რომ ეს „ავაზაკური რეკეტი“ და პირდაპირი შანტაჟია, რომლის ერთადერთი მიზანი საქართველოს ომში ჩართვა იყო, რაზეც ქვეყნის ფაქტობრივმა ლიდერმა კატეგორიული უარი განაცხადა. ფაქტია, რომ გლობალური ძალები სასამართლო გადაწყვეტილებებსაც კი უგულებელყოფენ, როდესაც საქმე პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ეხება.**

### ფული ომის სანაცვლოდ?

**„ქართული ოცნების“ რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე სოციალურ ქსელში მნიშვნელოვან დეტალებს ასაჯაროებს. მისი თქმით, ბანკის მმართველებმა, რომლებიც „გლობალური ომის პარტიის“ მორჩილი შემსრულებლები არიან, ივანიშვილს ოფიციალური წერილით მიმართეს და პირდაპირი პირობა წაუყენეს:**

**„ქველმოქმედებაში უფრო მეტს ხარჯავთ, ვიდრე საკუთარი ოჯახის წევრებისთვისო! არ დაგიყადაღებთ თანხებს, თუ ომში ჩართავთ საქართველოსო, საკუთარ ხალხს გაწირავ და ქართულ სახელმწიფოს გაანადგურებო!“**, – წერს **სამხარაძე.**

ივანიშვილის პასუხი ამ შანტაჟზე ისტორიული – საქართველო არ გაიყიდება! სწორედ ამ პრინციპულმა პოზიციამ, რომელმაც ქვეყანა ომს, ნგრევასა და უბედურებას გადაარჩინა, ივანიშვილი მსოფლიოს უდიდესი გავლენის მქონე ძალების სამიზნედ აქცია.

### ავაზაკური რეკეტი და აშშ-ის გაწითლებული ელჩი

**ის, რომ ზეწოლა რეალური და მძიმე იყო, ადასტურებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილიც.**

მან გაიხსენა ეპიზოდები აშშ-ის ყოფილ ელჩთან **კელი დეგნანთან,** რომელიც კაბინეტებში „მაგიდაზე ხელის ბრახუნით“ ითხოვდა საქართველოს ხელისუფლებისგან რუსეთისთვის სანქციების დაწესებას.

**„ხელისგულზე დევს, რომ სინამდვილეში, ეს არის ჩვეულებრივი ავაზაკური რეკეტი. მიზანი იყო ზეწოლა ბიძინა ივანიშვილზე, რათა მას საკუთარი პოლიტიკური გავლენები გამოეყენებინა ჩვენი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ“**, – აცხადებს **პაპუაშვილი.**

მისივე თქმით, უცხოელი დიპლომატები დაჟინებით ითხოვდნენ პოლიტიკიდან დისტანცირებულ ივანიშვილთან შეხვედრას, რაც ადასტურებს, რომ „დიფ სთეითი“ სწორედ მას მიიჩნევდა ერთადერთ ბარიერად, რომელიც საქართველოს „მეორე ფრონტად“ ქცევას უშლიდა ხელს.

### რატომ ვერ იცავს კანონი საკუთრების უფლებას?

**თბილისის მერი კახა კალაძე პირდაპირ მიუთითებს „არაფორმალურ მმართველებზე“, რომლებიც მსოფლიო ინსტიტუტებს მართავენ. მისი თქმით, ივანიშვილი შეეგუა იმ აზრს, რომ მოპარულ და მითვისებულ თანხებს, სავარაუდოდ, ვერ დაიბრუნებს, რადგან დასავლური სასამართლო სისტემა პოლიტიკური ნების მძევალი გახდა.**

**„სასამართლო წარმატებით დასრულდება, მაგრამ აღსრულება არ მოხდება. ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ნება, ასრულებენ არაფორმალური მმართველების დავალებებს. მგონი, ყველაფერი ცხადია“**, – განმარტავს **კალაძე.**

მისივე თქმით, ივანიშვილის ოჯახის წევრებისთვის – მეუღლისა და შვილებისთვის ანგარიშების დაბლოკვა არის მორალური ფსკერი, სადაც დასავლური საბანკო სისტემა დაეშვა.

დღეს უკვე ნათელია, ბიძინა ივანიშვილს შეეძლო, მარტივი გზა აერჩია – დამორჩილებოდა შანტაჟს, შეერთებოდა სანქციებს, გაეწირა ქართული ეკონომიკა და ხალხი, სანაცვლოდ კი შეენარჩუნებინა თავისუფალი წვდომა საკუთარ მილიარდებზე და თავისუფლად ემოძრავა ევროპაში.

თუმცა, როგორც „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, მან სხვა არჩევანი გააკეთა.

**„ქართველმა კაცმა, საქართველოზე უზომოდ შეყვარებულმა, შეძლო, დაუპირისპირდა და დღეს რომ მშვიდობა გვაქვს, მხოლოდ მისი დამსახურებაა! მოვა დრო და დაუფასებენ ერისკაცს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს, საქართველოს გადარჩენას!“**, – ამბობს **დიმიტრი სამხარაძე.**

### რატომ ვერ დაიბრუნებს ივანიშვილი ფულს

**ფინანსისტებისა და საბანკო სფეროს ექსპერტების შეფასებით, ბიძინა ივანიშვილისთვის თანხის დაბრუნების პრობლემა სცდება კონკრეტულ სასამართლო დავას და ეხება გლობალური ფინანსური სისტემის ფუნდამენტური მუშაობის პრინციპებს. მაშინაც კი, თუ ლონდონის სასამართლო ივანიშვილს 100%-ით გაამართლებს და ბანკს თანხის დაბრუნებას დაავალებს, შესაძლოა, ტრანზაქცია ფიზიკურად ვერ განხორციელდეს.**

ფინანსისტი **დავით თოდუა** for.ge-თან ხუთ მთავარ არგუმენტს ასახელებს, რის გამოც, სანქციების რისკის პირობებში, ბანკები ფულს ვერ რიცხავენ:

**„პირველი მიზეზი ეს არის კორესპონდენტი ბანკების“ ბარიერი (აშშ-ის იურისდიქცია), ეს არის მთავარი ტექნიკური მიზეზი. საერთაშორისო საბანკო სისტემაში დოლარში (USD) განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქცია, საბოლოო ჯამში, გადის ამერიკულ „კორესპონდენტ ბანკზე“, რომელიც ნიუ-იორკში მდებარეობს, ხოლო როდესაც შვეიცარიული ბანკი რიცხავს ფულს საქართველოში, ის იყენებს ამერიკულ შუამავალ ბანკს. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ამერიკულ ბანკს აქვს ეჭვი, რომ მიმღები პირი არის სანქცირებული ან სანქციების რისკის ქვეშ, ის ავტომატურად ბლოკავს ტრანზაქციას. შვეიცარიულმა ბანკმა ეს იცის, ამიტომ ის უბრალოდ არ გაუშვებს გადარიცხვას, რადგან თანხა შუა გზაზე გაიჭედება და თავად ბანკს პრობლემები შეექმნება.**

**მეორე მიზეზი ე.წ. „ტოქსიკური კლიენტის“ სტატუსია. დასავლურ ბანკებში მუშაობენ უზარმაზარი დეპარტამენტები, რომელთა ერთადერთი მიზანი ბანკის ჯარიმებისგან დაცვაა. არსებობს რისკი, რომ აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტს (OFAC) შეუძლია მილიარდობით დოლარით დააჯარიმოს ბანკი, თუ ის მოემსახურება სანქცირებულ პირს ან ხელს შეუწყობს სანქციების გვერდის ავლას“**, – ამბობს ფინანსისტი.

მისივე თქმით, საქართველოდან მიღებული და დასავლური პოლიტიკური წყაროებით, ბანკისთვის ბიძინა ივანიშვილი „პოლიტიკურად აქტიური პირია“, რომლის მიმართაც ევროპიდან და ამერიკიდან ბრალდებები რუსულ კავშირებზე ისმის.

**„ამიტომ, ბანკირები მოქმედებენ პრინციპით – „სჯობს, თავი დაიზღვიო, ვიდრე ინანო“. მათ ურჩევნიათ, გაუყინონ კლიენტს ანგარიში და წლობით ედავონ სასამართლოში, ვიდრე გარისკონ აშშ-ის ლიცენზიის დაკარგვა. მესამე მიზეზია ე.წ. „დე ფაქტო“ სანქციები. შესაძლოა, ივანიშვილი ოფიციალურად არ იყოს სანქცირებულთა სიაში, მაგრამ ფინანსურ სამყაროში არსებობს ცნება „დე ფაქტო სანქცირება“.**

**თუ აშშ-ის ან ევროკავშირის მაღალჩინოსნები აკეთებენ განცხადებებს პირის სანქცირების შესაძლებლობაზე (რაც არაერთხელ მოხდა ივანიშვილის შემთხვევაში), ბანკები მას ისე ექცევიან, თითქოს უკვე სანქცირებულია. ეს არის პრევენციული ზომა. ბანკი არ მისცემს კლიენტს უფლებას, გაიტანოს კაპიტალი მანამ, სანამ სანქციები ოფიციალურად არ გაუქმდება. ასევე ბანკებს აქვთ ვალდებულება, შეამოწმონ თანხის წარმომავლობა და მიზნობრიობა – ეს უკვე მეოთხე მიზეზია. სანქციების რისკის პირობებში, ბანკი იწყებს ე.წ. გაღრმავებულ შესწავლას. ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ. ბანკი ითხოვს ათასგვარ დოკუმენტს, ცნობას, განმარტებას და ამით ხელოვნურად აჭიანურებს პროცესს. ეს არის ლეგალური გზა, რომ ფული არ გასცენ, თანაც ისე, რომ კანონი არ დაარღვიონ“**, – გვიხსნის ფინანსისტი.

მეხუთე მიზეზად კი ფინანსისტი შვეიცარიული საბანკო გიგანტის – Credit Suisse კრიზისს და UBS-ის მიერ, მის ყიდვას ასახელებს. ამიტომ, თოდუას განცხადებით, ახალი მფლობელები (UBS) კიდევ უფრო ფრთხილები არიან.

**„მოკლედ, ფინანსისტების ენაზე რომ ვთქვათ, ივანიშვილის ფული არალიკვიდურია. ის ციფრებში არსებობს, მაგრამ მისი გამოყენება შეუძლებელია, რადგან გლობალური ფინანსური სისტემის „ონკანი“, რომელსაც აშშ აკონტროლებს, ამ კონკრეტული კლიენტისთვის დაკეტილია. ვიდრე პოლიტიკური რისკები (სანქციების მუქარა) არ მოიხსნება, ვერცერთი დასავლური ბანკი ვერ გაბედავს ტრანზაქციის გატარებას“**, – განაცხადა **თოდუამ.**

ამ თემას ეხმაურება ექსპერტი საბანკო-საფინანსო საკითხებში, გიორგი ცუცქირიძე, რომელიც for.ge-თან მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის განცხადება უკვე იმ ფაქტს ნიშნავს, რომ მათ ამ თანხის დაბრუნების იმედი არ აქვთ. თუმცა, ექსპერტი ფრთხილ ოპტიმიზმს იტოვებს, რომ შესაძლოა ივანიშვილმა ფულის დაბრუნება მაინც მოახერხოს.

**„ჩვენ ჯერ ივანიშვილის ადვოკატის განცხადებიდან უნდა ამოვიდეთ, რომელსაც დიდად არ აქვს იმის იმედი, რომ ამ ფულს გამართლების შემთხვევაშიც დაიბრუნებს. ადამიანი ღიად ამბობს, არ აქვთ მოლოდინი, რომ ამ თანხებზე ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჩვენ ვიცით, რომ ეს დავა გუშინ არ დაწყებულა, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში, ივანიშვილმა არაერთი დავა მოიგო. მიუხედავად ამისა, ამ დავას უკვე პოლიტიკური დატვირთვა მიეცა.**

**ის სანქციები, რომელიც ბაიდენის ხელისუფლების დროს, ივანიშვილს დაუწესეს, გარკვეულ გავლენას ახდენს, რადგან ვიცით, რომ საბანკო სისტემა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ისინი ერთმანეთს ანგარიშს უწევენ. შესაბამისად, ამერიკის დამოკიდებულება ამა თუ იმ პირთან, ან თანხებთან დაკავშირებით, გვინდა თუ არა, გავლენას ახდენს. შესაძლოა, თანხმობაც იქნას მიცემული თანხის მიღებაზე და არ მოხდეს ის, რასაც ადვოკატი ამბობს, მაგრამ დიდი ალბათობით, მათ არ აქვთ იმედი. მე მაინც ვიტოვებ ფრთხილ ოპტიმიზმს, რომ შესაძლოა ეს ფულის საკითხი ასე არ გაიყინოს და ივანიშვილმა ფულის დაბრუნება შეძლოს“**, – ამბობს ფინანსისტი.

ლიკა ბერიკაშვილი

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ასმათ დვალიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ასმათ დვალიშვილი (პ/ნ 62007005395), ქუთაისი, შარვაშიძის ქ. N53.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გარდაბანი, რუსთავის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 81.15.18.202)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 29672.5 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 24 ნოემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 8 დეკემბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP118750325;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1187503

**6. მოვალე:** ასმათ დვალიშვილი (პ/ნ 62007005395), ქუთაისი, შარვაშიძის ქ. N53

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP118750325; ლოტის ნომერი: 1187503).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 8 დეკემბრის 11:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ზარნიშან კარაჯაევას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზარნიშან კარაჯაევა (პ/ნ 28001057596), მარნეული, სოფელი ქვემო ყულარი, მე-8 ქ. N9.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** მარნეული, სოფელი ქვემო ყულარი, მე-8 ქ. N9 (საკადასტრო კოდი: 83.08.06.692)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 12584.79 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 24 ნოემბერი, 12:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 8 დეკემბერი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP118751725;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1187517

**6. მოვალე:** ზარნიშან კარაჯაევა (პ/ნ 28001057596), მარნეული, სოფელი ქვემო ყულარი, მე-8 ქ. N9

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP118751725; ლოტის ნომერი: 1187517).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 8 დეკემბრის 11:00 საათამდე.

**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პროფესორ ბეჟან ნამგლაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა ორიგინალური სახელწოდებით „სინათლის ჰაბიტუსი – 80“.**



# ბეჟან ნამგლაძის პატივგება

**ღონისძიების ავტორი და ხელმძღვანელი გახლდათ საფორტეპიანო განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტი თათა კვანტალიანი, რომელმაც სხვადასხვა თაობის აკადემიური პერსონალი გააერთიანა, სტუდენტურ ინიციატივას მხარი დაუჭირა კონსერვატორიის რექტორმა გიორგი ვაჩნაძემ და საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა თამაზ შილაკაძემ, რომელმაც ბეჟან ნამგლაძეს ქართულ კულტურაში შეტანილი ღვაწლისთვის საპატიო სიგელი და ფულადი ჯილდო პირადად გადასცა.**

არაერთი გულთბილი მილოცვა და დაუვიწყარი მოგონება გაჟღერდა კონსერვატორიის პერსონალისა და დამსწრე საზოგადოების მხრიდან. სიტყვები წარმოთქვეს ბატონმა **გიორგი ვაჩნაძემ**, მუსიკათმცოდნე **მარინა ქავთარაძემ,** ბეჟან ნამგლაძის ყოფილმა სტუდენტებმა: კომპოზიტორმა **ნინო ჟვანიამ** და **თამარ თევდორაშვილმა,** არაერთმა კოლეგამ და სტუმარმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავად სტუდენტმა **თათა კვანტალიანმა** საოცარი პროფესიონალიზმით და საშემსრულებლო ოსტატობით შეასრულა იოჰან სებასტიან ბახის საფორტეპიანო ნაწარმოები „ჩაკონა“, რასაც უდიდესი მოწონება და ოვაცია მოჰყვა.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრმა, ბატონმა **გოგა შავერზაშვილმა** კი საიუბილეო იმპროვიზაცია მიუძღვნა იუბილარს. კომპოზიტორმა **ნინო ჭაბაშვილმა** პერსონალურად დაწერა ბეჟან ნამგლაძისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც მუსიკოსმა **ნინო ჟვანიამ** წარადგინა.

საგუნდო შესრულებით გაჟღერდა უკვდავი მრავალჟამიერი, ახალგაზრდა მაესტრო ანასტასია ჯულაყიძის დირიჟორობით. შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა **ნანა ჭიჭინაძემ.** საღამოს უძღვებოდა ცნობილი მუსიკათმცოდნე **გვანცა ღვინჯილია.**

**მარიამ პოპიაშვილი.**



## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს განცხადება

გაცნობებთ, რომ სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების მიზნით ახორციელებს 500 კვ. „ლაჯანური-წყალტუბო“-ს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (შემდგომში ტექსტში - ეგხ) მშენებლობის პროექტს. პროექტი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და მიზნად ისახავს რეგიონში ელექტრო მომარაგების გაზრდას და ერთიანი ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებას.

500 კვ. ეგხ. „ლაჯანური-წყალტუბო“-ს ზემოქმედების არეალში მოექცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში, მე-20 ქუჩის I ჩიხი, N14-ში მდებარე, შპს „აგრო ჯგუფი“-ს (ს/ნ 412763308) საკუთრებაში არსებული N29.09.46.1028 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი, კერძოდ 238 კვ.მ..

შესაბამისად, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების სანაცვლოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გიწვევთ მოლაპარაკებისათვის.

გთხოვთ, საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 5 დღეში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეგხ-ს ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, კერძოდ 238 კვ.მ.-ზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს.



# გვანცამაც იპირველა!

**ალბათ, მალე მოვა დრო, როცა ვინმე ღვთისნიერი ქართველ ეტლით მოსარგებლე ქალთა სასახელო ტრიოს მიერ უმაღლესი რანგის პარაფორუმებზე მოხვეჭილ ტიტულთა თუ მედალთა რაოდენობას დაითვლის – სტატისტიკოსის ბლოკნოტმა ხომ ყველაფერი უნდა ასახოს.**

ვიმედოვნებთ, გულშემატკივარს მშვენივრად მოეხსენება, რომ თანაგუნდელთაგან პირველი მერცხლობა **ირმა ხეცურიანს** ხვდა წილად, ვინც პარტნიორთა მიღწევებს დაუდო სათავე, მისი ღირსეული მემკვიდრის – **ნინა თიბილაშვილის** არანაკლებ მდიდარ კოლექციას კი ჩვენს თანამემამულეთაგან დამსახურებული ჯერჯერობით ერთადერთი – პარიზის შარშანდელი პარალიმპიური თამაშების ვერცხლი ამრჭყვიალებს.

და აი, წლევანდელი სეზონის მიწურულს მესამე ჯვაროსანი მუშკეტერის – **გვანცა ზადიშვილის** ვარსკვლავიც აკიაფდა, რომელმაც მსოფლიო თასის მძაფრ ქართულ ფინალში თიბილაშვილს 15:13 სძლია, ხეცურიანი კი ამჯერად ბრინჯაოს დაეუფლა!

# მახვილი ზურგში

**მოახლოვდა საკალათბურთო მუნდიალ – 2027-ის საკვალიფიკაციო ტურნირის სტარტი და საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბისა და გულშემატკივართა საზრუნავმაც იმატა.**

კერძოდ, თუ თავიდანვე ვიცოდით, რომ ამჯერად ჯვაროსნებს, სხვა გუნდების მსგავსად, ნბა-ში მოთამაშე ჩვენებური ლეგიონერები, **გოგა ბითაძე** და **სანდრო მამუკელაშვილი** ვერ დაეხმარებოდნენ უკანასკნელ დღეებში თითქმის გამოირიცხა თბილისში უკრაინასთან პირველი ტურის უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის, რომელიც **გიორგი შერმადინის** ეროვნული ნაკრებიდან გაცილებას ემთხვევა, გუნდის ლიდერისა და კაპიტნის **თორნიკე შენგელიას** ჩამოსვლა.



მისმა ბარსელონამ ევროლიგაში ბოლო წამზე მტკივნეული მარცხი სტამბოლში იწვნია **იგორ კოკოშკოვის** გაწვრთნილ ეფესთან, კატალონიელთა ახალმა თავკაცმა **ხავი პასკუალმა** კი ქართველი ამჯერად მხოლოდ პარკეტზე გატარებული 13 წუთით დატვირთა და მანაც მხოლოდ 4 ქულა, 3-3 მოხსნა – ასისტი და თითო ჩაჭრა-დათარება შეაშველა პარტნიორებს.

რაც შეეხება პრობლემას: მორიგი შეხვედრა ბლაუგრანას 26-ში გვიან ღამით შინ ფრანგულ ვილერბანთან უწევს, 27-ში კი უკრაინასთან მატჩია. ვინაიდან კონტრაქტში ის პუნქტი არ არის, რომელიც კლუბს ავალდებულებს წევრის ნაკრებში გამოშვებას, ადვილი მისახვედრია, რომ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ზემდგომთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, თორემ წარსულის გათვალისწინებით შენგელიას მისაბაძ პროფესიონალიზმსა და, უპირველესად, მამულიშვილობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ასე რომ იქნებ...

### ევროპული შესარჩევი რაუნდი

**„ა“ ჯგუფი.** დანია, საქართველო, უკრაინა, ესპანეთი.

**„ბ“ ჯგუფი:** საბერძნეთი, მონტენეგრო, პორტუგალია, რუმინეთი.

**„გ“ ჯგუფი:** სერბეთი, თურქეთი, ბოსნია, შვეიცარია.

**„დ ჯგუფი:** დიდი ბრიტანეთი, იტალია, ისლანდია, ლიეტუვა.

**„ე“ ჯგუფი:** ხორვატეთი, გერმანია, ისრაელი, კვიპროსი.

**„ვ“ ჯგუფი:** ლატვია, პოლონეთი, ნიდერლანდები, ავსტრია.

**„ზ“ ჯგუფი;** უნგრეთი, საფრანგეთი, ბელგია, ფინეთი.

**„თ“ ჯგუფი:** სლოვენია, ჩეხეთი, შვედეთი, ესტონეთი.

დავძენთ, რომ თითოეული კვარტეტიდან მეორე ჯგუფურ ეტაპზე 3-3 საუკეთესო გუნდი გადავა და მათ ერთმანეთთან დაგროვებული ქულები გადაჰყვებათ.

# ბრძოლის ველზე და ფრონტის ხაზს მიღმა

**ქართველ კარატისტთა თაობების აღმზრდელი, რომელიც საბრძოლო ხელოვნებებში თანამდებობის პირებსაც ავარჯიშებდა, რამდენიმე წლის წინათ მომხდარი ფინანსური გაუგებრობის ფაქტის შემდეგ მოულოდნელად გაქრა რადარებიდან. ბუნებრივია, ყველას გვაინტერესებდა, როგორ ძლებდა უსამშობლოდ დღეს უკვე უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების აკადემიის მომზადების ცენტრის უფროსი, სამხედრო წოდებით პოლკოვნიკი პაატა ბასილია.**

მოვუსმინოთ მას:

**„ბედნიერი ვარ, რომ 2021 წელს კულტურისა და სპორტის მინისტრად თეა წულუკიანი მოვიდა და მაიძულა, საქართველო დამეტოვებინა, თორემ რომ დავრჩენილიყავი, ჭაობში ჩავეფლობოდი“...**

ომმა სემინარების ჩასატარებლად ჩასულს მოუსწრო. წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი იქიდან ამერიკაში გამგზავრება, მაგრამ ადგილობრივ მეგობართა და კოლეგათა თხოვნით კიევში დარჩა, როგორც პროფესიონალი, საწვრთნელი ვარჯიშების ჩასატარებლად და უკრაინელი ხალხის დასახმარებლად. უფრო თუ დავკონკრეტდებით, რუსული აგრესიის დაწყებიდან პირველივე დღეებში ქართული ლეგიონის ბაზაზე სათავეში ჩაუდგა ლეგიონის სპორტულ განყოფილებას, სადაც თავდაცვისთვის მოქალაქეთა მზადებას შეუდგა ევროპელ და ამერიკელ ინსტრუქტორებთან ერთად.

**ლირიკული გადახვევა:** სწორედ საწვრთნელ ბაზაზე გაიცნო ასაკით შვილისტოლა იოგას ინსტრუქტორი **მარინა კარიმოვა,** მათი სიყვარული კი ქართულ-უკრაინული ოჯახის შექმნითა და 60 წლის ასაკში **სალომიას** მამობით დაგვირგვინდა, რომელიც უკრაინის მესამე პრეზიდენტმა **ვიქტორ იუშჩენკომ** მონათლა. სხვათა შორის, მია



11 მაისს დაიბადა, როცა დასავლეთის ქვეყნებში დედის დღეს აღნიშნავენ და ფრონტიდან ჩასული შამქმნელი გულისსწორის მშობიარობას დაესწრო. დავძენთ, რომ მარინას ექიმი მთელი ფეხმძიმობის განმავლობაში კიევში ცნობილი ქართველი გინეკოლოგი **რუსლან ალექსანდრეს ძე ბოკუჩავა** გახლდათ.

ახლა კი ისევ მთავარი თემა:

**„მადლობა უფალს, რომ დროზე მომიყვანა გონს და ოჯახურ ბედნიერებას მაზიარა. ვნანობ მხოლოდ იმას, რომ პირადი ცხოვრების მოწყობას სამომავლოდ ვდებდი – რა მეჩქარება, მერეც მოვასწრებ-მეთქი და მთლიანად ჩაფლული ვიყავი ჩემს საქმიანობაში – კარატე, საბრძოლო ხელოვნება, ბიზნესი და სხვა. ომმა მასწავლა, რომ უნდა იცხოვრო დღევანდელი დღით – ხვალ და ზეგ შეიძლება აღარც იყო.**

**გუშინ ღამითაც დაბომბეს უკრაინის ქალაქები დრონებით, რაკეტებით. ადვილი არ არის, ღამის 3 საათზე ადგე, ბავშვს ჩააცვა, აიღო პირადი ნივთები, საბუთები, გაიარო 300 მეტრზე მეტი და თავშესაფარში ჩახვიდე, მეორე დილით კი ინფორმაციებს უსმენ, რომ შენთან ახლოს სახლი აფეთქდა და ადამიანები დაიღუპნენ. მე ეს ყველაფერი ნანახი მაქვს, რაღა უნდა გამიკვირდეს, მაგრამ ქალისთვის, რომელსაც შვილი ჰყავს, ეს დიდი სტრესია.**

**საერთოდ, უკრაინელი ქალის ფენომენი განსაკუთრებულია და მისი დამოკიდებულება ასეთია: ჩემი შვილი თუ ომობს, ქმარი თუ იბრძვის, ეს იმიტომ, რომ ხვალ თავისუფალ სახელმწიფოში გვაცხოვრონო და ერის უმრავლესობა პატრიოტია, ასეთი აზროვნების ხალხს კი რუსული იმპერიალიზმი ვერ დაამარცხებს“.**

# როსღა გვეღირსოს ჩვენ მუნდიალი?!

**მაშინ, როცა ბოლოდროინდელი ჩავარდნის შედეგად ფიფას რეიტინგში 3 საფეხურით დავქვეითდით და 73-ე პოზიციამდე დავეშვით, გარკვეული ცვლილებები ტოპ-ათეულშიც მოხდა, სადაც ბრაზილია 2 ადგილით დაწინაურდა და როგორც პორტუგალიას, ისე ნიდერლანდებს გადაასწრო, იტალია კი, პირიქით, ასევე ორი პუნქტით დასცილდა ელიტას და იქ ხორვატეთი დაბრუნდა:**

ესპანეთი, არგენტინა, საფრანგეთი, ინგლისი, ბრაზილია, პორტუგალია, ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია, ხორვატეთი.

ამასობაში შვეიცარიულმა ციურიხმა მუნდიალ 2026-ის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი-ოფის წილისყრას უმასპინძლა, რომელმაც ასეთი წყვილები მოგვცა:

### უეფას ევროპული ზონა
### 2026 წლის 26 და 31 მარტი

**გზა „ა“.** ნახევარფინალი. იტალია – ჩრდილოეთ ირლანდია, უელსი – ბოსნია. ფინალი მეორე წყვილის გამარჯვებულ ქვეყანაში გაიმართება.

**გზა „ბ“.** ნახევარფინალი. უკრაინა – შვედეთი, პოლონეთი – ალბანეთი. ფინალს პირველის რჩეულმა უნდა უმასპინძლოს, თუმცა, რუსეთ-უკრაინის ომის გამო არაფერია გამორიცხული.

**გზა „გ“.** ნახევარფინალი. თურქეთი – რუმინეთი, სლოვაკეთი – კოსოვო. ფინალს ამ უკანასკნელში საუკეთესო მიიღებს.

**გზა „დ“.** ნახევარფინალი. დანია – ჩრდილოეთ მაკედონია, ჩეხეთი – ირლანდია. ამ შემთხვევაშიც ბოლო წყვილში მოგებულს ექნება ფინალში საკუთარი მინდვრის უპირატესობა.

მუნდიალის 4 საგზურს ოთხივე გზის გამარჯვებული მოიპოვებს.

### კონფედერაციათაშორისი პლეი-ოფი
### ტარდება მექსიკაში (გვადალახარა, მონტერეი) 2026 წლის 23 და 31 მარტი

**გზა „ა“** ნახევარფინალი. ახალი კალედონია – იამაიკა. გამარჯვებული ფინალში შეხვდება განთესილ კონგოს.

**გზა „ბ“.** ნახევარფინალი. ბოლივია – სურინამი. მოგებულს ფინალში ელოდება განთესილი ერაყი. სწორედ ამ ტურნირში გათამაშდება მუნდიალის ბოლო 2 საგზური.

რაც შეეხება უკვე გამოვლენილი 42 იღბლიანის ნუსხას, იგი ასეთი გახლავთ: ავსტრალია, ირანი, იაპონია, იორდანია, ყატარი, საუდის არაბეთი, კორეა, უზბეკეთი, ალჟირი, კაბო ვერდე, ეგვიპტე, განა, კოტ დივუარი, მაროკო, სენეგალი, სამხრეთ აფრიკა, ტუნისი, კანადა, მექსიკა, აშშ (სამივე – მასპინძელი), ჰაიტი, კიურასაო, პანამა, არგენტინა, ბრაზილია, კოლუმბია, ეკვადორი, პარაგვაი, ურუგვაი, ახალი ზელანდია, ინგლისი, საფრანგეთი, ხორვატეთი, პორტუგალია, ნორვეგია, ნიდერლანდები, გერმანია, შვეიცარია, ესპანეთი, შოტლანდია, ავსტრია, ბელგია.

# კარგი (და არცთუ) ამბები

**UFC-is** სუპერმსუბუქი დივიზიონის მეორე ბრძოლა **ალექსანდრე თოფურიამ** ყატარში 3 რაუნდში მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ყაზახ ბეკზატ ალმახანს



მოუგო. ეს კარიერაში მისი მე-7 გამარჯვებაა, ხოლო ელიტაში პირველ ჩხუბში ავსტრალიელის კობი თიქნესი დაამარცხა.

* * *

**საქართველოს** მორაგბეთა ახლადშექმნილმა 15-ქალა ნაკრებმა ევროპის კონფერენს დივიზიონის პირველი ოფიციალური მატჩი რუმინეთში 7 ლელოთი და 4 გარდასახვით 43:0(!) მოიგო.

სამწუხაროდ, იმავე დღეს ბორჯღალოსნებმა ნოემბრის დასკვნითი ტესტი შინ ბოლო წუთზე დათმეს იაპონიასთან – 23:25, ხოლო ჩვენმა 18-წლამდელთა ნაკრებმა თანატოლთა ევროპული ფორუმის ფინალი ესპანეთთან წააგო 11:16.

* * *

**შედეგიანი** გადაცემებით დაბრუნდნენ სანაკრებო პაუზის შემდეგ განახლებულ საფრანგეთის ლიგა – 1-სა და ლიგა 2-ში, შესაბამისად, **ხვიჩა კვარაცხელია** (პსჟ – ჰავრი 3:0) და **ზურიკო დავითაშვილი** (სენტ ეტიენი – ნანსი 2:1), დასრულებული ჩინეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში კი **ვილი სანიოლის** მიერ რატომღაც ათვალწუნებულმა **ვაკო ყაზაშვილმა** სულაც დუბლი შეასრულა და ბომბარდირთა დავის ურუგვაელ გამარჯვებულ აზრეუს მხოლოდ 1 გოლით ჩამორჩა.

## ლენა შვარცი:
# შენ გეგონა, რომ ასეთი სულელები ომს მოიგებდნენ?!

**იქნებოდა თუ არა „სიკეთის“ მომტანი საქართველოში გერმანული ჯარის შემოსვლა?!**




**ვუძღვნი ჩემს საყვარელ დას — ლილის**

**ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიის ლექციების შესავალში ვწერდი (იხ.: გ. ვ. ფ. ჰეგელი, ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე, თბ.: 2020), რომ ნაცისტების გერმანიაში ქართველები მოიხსენიებიან „წინააზიურ რასად“, კერძოდ, პროფ. გიუნტერის წიგნში „გერმანელი ხალხის მცირე რასათმცოდნეობა“...**

ამ წიგნის 50-ე გვერდზე, ავტორი, მეტი თვალსაჩინოებისთვის, ათავსებს ქართველების ფოტოებს. როგორც იტყვიან — მტრისას, რაც იქ ტრიალებს: სტალინის ფოტოს გვერდით, როგორც ქართული რასის წარმომადგენლის, მოთავსებულია „იმერელის“ პორტრეტი (რაღაც მოიდიოტო ტიპის), როგორც არაქართველის, ხოლო მის ქვემოთ არის პეტრე ბაგრატიონის სურათი და მკითხველს ეუწყება, რომ მის წინაშეა „სომხური არისტოკრატიის“ ნიმუში.

ბაგრატიონის პორტრეტს მოსდევს სომეხი ქალის პორტრეტი, როგორც ქართველისა და ა. შ.

როდესაც ეს წიგნი ვაჩვენე გერმანიიდან, თავის დროზე, ქართველზე გათხოვილ ფრაუ ლენა შვარცს, ჩემს უფროს მეგობარსა და მასწავლებელს, მან ასეთი რამ მითხრა: **„შენ გეგონა, რომ ასეთი სულელები ომს მოიგებდნენ?!“**

ფრაუ ლენას შეკითხვაში აშკარად სჭვიოდა ჩემდამი სიმპათია, როგორც ყოფილი პოლიტპატიმრისადმი, ხოლო თავად იგი საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა და გადაასახლა, ვგონებ, რვა თუ ათი წლით.

რასაკვირველია, ნაცისტურ გერმანიაში ყველა არ იყო ასეთი „სულელი“, განსაკუთრებით, გერმანულ სამხედრო უწყებაში. ბევრი გენერალი საქართველოში იმყოფებოდა მისი პირველი დამოუკიდებლობის დროს და ჟორდანიასგან „თამარ მეფის ორდენით“ იყო დაჯილდოებული (ამის თაობაზე იხ. „ქართველები მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანული დროშის ქვეშ“, თბ. 1994, განსაკუთრებით, გენერალ შ. მაღლაკელიძის მონათხრობი, რომელიც ჩავწერე დიდი ხიფათით, საბჭოთა რეჟიმის დროს და გამოვეცი ჩვენი მეორე დამოუკიდებლობის ჟამს).

დიახ, გარკვეული ილუზიები მეც მქონდა გერმანელების გამარჯვებასთან დაკავშირებით, რომ ეს საქართველოსთვის კარგი იქნებოდა. თუმცაღა, ეს აზრი მყარად არასოდეს ჩამომყალიბებია, ბოლო წლებში, ხანდაზმულმა კაცმა საერთოდ მკვეთრად შევიცვალე ჩემი შეხედულება დამთხვეული ჰიტლერის რეჟიმის მიმართ და ვაღიარებ, რომ საქართველოში მისი ჯარების შემოსვლით, ჩვენი ქვეყანა გახდებოდა უდიდესი უბედურების მსხვერპლი. ჰიტლერს და მის გარემოცვას არანაირი განსაკუთრებული დამოკიდებულება არ ჰქონიათ ქართველების მიმართ, ამას ადასტურებენ თავად თანამედროვე გერმანელი მკვლევარები, რომლებმაც არქივები შეისწავლეს (ეს მასალები შესულია გულბაათ რცხილაძის წიგნში „დიდი სამამულო ომი 1941-1945. ცნობარი“, თბ. 2022).

**ფაშისტი გერმანელებისთვის ქართველობაც ისეთი „დაბალი რასა“ იყო, როგორც სხვა, „არაარიული“ რასები. ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ ჩვენში ყველანაირმა რუსთმოძულეებმა და ერთმანეთზე „რუსოფილობის“ გადამბრალებლებმა.**

**ვიქტორ რცხილაძე**



## სანთელი

# ზაურ კალანდია



**76 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ზაურ კალანდია. იგი დაიბადა ქალაქ ზუგდიდში, 1977 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იყო „ცისკრის“ ლიტერატურული თანამშრომელი, პროზის განყოფილების გამგე, 1992 წლიდან კი — მთავარი რედაქტორი.**

**ზაურ კალანდია გახლდათ ცნობილი მწერლების გენო და რენე კალანდიების უმცროსი ძმა. მისი მოთხრობები და რომანი „ზვარაკი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა შორის. ავტორია კინოსცენარებისა და პუბლიცისტური წერილებისა.**

**1984 წლიდან იყო მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მინიჭებული ჰქონდა ღირსების ორდენი, მრავალი ლიტერატურული პრემია.**

**ნათელი დაადგეს მის სულს...**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

## სანთელი

# ზაურ თორდიას ნათელი ხსოვნა



**გარდაიცვალა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი ზაურ ტერენტის ძე თორდია, რომელიც 1938 წელს აბაშის რაიონის სოფელ ნორიოში დაიბადა.**

**იგი ჯერ კიდევ რვა წლის მოსწავლე იყო, როცა აქტიურად მონაწილეობდა სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. იყო ქართული ცეკვის უბადლო შემსრულებელი. ამიტომ მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კულტურის სფეროს მიუძღვნა. იგი 30 წელიწადი მოღვაწეობდა აბაშის კულტურის სახლთან არსებული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჰარირაში“. მრავალი კონცერტების მონაწილეა როგორც რაიონში, ისე რესპუბლიკასა და მის საზღვრებს გარეთ. მუშაობდა აბაშის კულტურის სახლის დირექტორად, აბაშის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ. იყო ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე.**

**მას რაიონმა დაუფასა კულტურის სფეროში გაწეული ღვაწლი და დამსახურებულად მიანიჭა აბაშის საპატიო მოქალაქის წოდება.**

**დასანანია, როცა ასეთი ღირსეული ადამიანები მიდიან ჩვენგან, მაგრამ გვანუგეშებს ის, რომ ზაურ თორდიამ ნათელი კვალი დატოვა ცხოვრებაში და თავისი განვლილი მოღვაწეობით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს საზოგადოებაში.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.**

**ზაურ თელია,**

ააიპ ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, აბაშის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ვიცე-პოლკოვნიკი, აბაშის საპატიო მოქალაქე.

## უკრაინა თუ წააგებს ამ ომს, შესაძლოა, ჩამოიშალოს, ეს გავლენას მოახდენს ევროპის კონტინენტზე

**გერმანიის კანცლერის ფრიდრიხ მერცის განცხადებით, უკრაინა ამ ომს თუ წააგებს, ქვეყანა, შესაძლოა, ჩამოიშალოს.**

ამის შესახებ ფრიდრიხ მერცმა „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, აშშ-ის ლიდერთან 21 ნოემბერს სატელეფონო საუბრის დროს მკაფიოდ დააფიქსირა, რომ ევროპა უნდა იყოს ნებისმიერი პროცესის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ომის დასრულებას უკრაინაში.




**„ომი მხოლოდ იმ შემთხვევაში დასრულდება, თუ უკრაინა მისცემს თავის უპირობო თანხმობას. დიდი ძალების მიერ ომების დასრულება, არ შეიძლება, ხდებოდეს ჩართული ქვეყნების თავზე. ეს არის ომი, რომლის დასრულება შეიძლება მხოლოდ უკრაინის თანხმობით და, ასევე, ჩვენი, ევროპის თანხმობით, რადგან ეს არის ომი ევროპის კონტინენტზე. და თუ როგორ დასრულდება ომი, ეს გავლენას მოახდენს ევროპის უსაფრთხოებაზე. უკრაინა თუ წააგებს ამ ომს, შესაძლოა, ჩამოიშალოს, ეს კი გავლენას მოახდენს ევროპულ პოლიტიკაზე მთლიანობაში, მთელ ევროპულ კონტინენტზე. სწორედ ამიტომ ვართ ერთგულნი ამ საკითხის მიმართ, რადგან მშვიდობის დამყარების შანსი თუ არსებობს, ეს ასევე გავლენას მოახდენს მთელ ევროპულ კონტინენტზე“**, — განაცხადა **ფრიდრიხ მერცმა.**

გერმანიის კანცლერის თქმით, სწორედ ეს პოზიცია გააცნო დონალდ ტრამპს.

**„ასევე, კიდევ ერთხელ შევახსენე, თუ როგორ მოექცა რუსეთი ბუდაპეშტის მემორანდუმს, სადაც რუსეთს უკვე ჰქონდა აღებული ვალდებულება უკრაინის მიმართ. იმ დროს უკრაინამ უარი თქვა იარაღის დიდ არსენალზე, მათ შორის ბირთვულ იარაღზე, სანაცვლოდ მიიღო რუსეთის ვალდებულება, გრძელვადიან პერსპექტივაში ეღიარებინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთმა ეს არ დაიცვა“**, — აღნიშნა გერმანიის კანცლერმა.

## უნგრეთი დაბლოკავს უკრაინის დახმარებაზე ევროკავშირის გადაწყვეტილებას იქამდე, ვიდრე კიევი არ დათანხმდება აშშ-ის გეგმას!

**უნგრეთის** პრემიერ-მინისტრი **ვიქტორ ორბანი** ევროკომისიის პრეზიდენტის **ურსულა ფონ დერ ლაიენისადმი** გაგზავნილ წერილში ევროკავშირს აშშ-ის 28-პუნქტიანი „სამშვიდობო გეგმის“ მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ „პოლიტიკო“ წერს.



**„ევროპელებმა დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა დაუჭირონ მხარი შეერთებული შტატების მშვიდობის ინიციატივას. აშშ-ის პრეზიდენტის მხარდაჭერის გარდა, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ ავტონომიური და პირდაპირი მოლაპარაკებები რუსეთთან“**, — წერს **ორბანი** წერილში.

„პოლიტიკოს“ ინფორმაციით, **ორბანი წერილში ასევე წერს, რომ უნგრეთი არ უჭერს მხარს ევროკავშირის მიერ რაიმე ფორმით შემდგომი ფინანსური დახმარების გაგზავნას უკრაინისთვის და არ ეთანხმება ასეთი გადაწყვეტილების მიღებას.**

# აჭარაში ძებნილი პირი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთისთვის ძებნილი პირი — თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1992 წელს დაბადებული დ.ქ. დააკავეს.** შსს-ის ცნობით, დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. ის აღნიშნული დანაშაულისთვის მიმდინარე წლის სექტემბრიდან იძებნებოდა. პოლიციამ დ.ქ. ბათუმში დააკავა. დაკავებული პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით მიმდინარეობს,“** — ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# თინათინ რუხაძის შეხვედრები რომში



**კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან თამარ ლილუაშვილთან და რომის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვართან, არქიმანდრიტ იოანე ხელაიასთან ერთად, რომის სამრევლოსთან არსებული კულტურის ცენტრებისა და საკვირაო სკოლების პედაგოგებსა და ხელმძღვანელებს შეხვდა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, იტალიაში საქართველოს საელჩოში გამართულ შეხვედრაზე განხილული იყო არსებული გამოწვევები, სამომავლო პროექტები და ის გზები, რომელთა საშუალებითაც კულტურის სამინისტრო დიასპორულ ორგანიზაციებს კულტურის სფეროში საქმიანობის გაღრმავებაში კიდევ უფრო დაეხმარება.

**„ძალიან თბილი და საინტერესო შეხვედრა გვქონდა ქართულ დიასპორასთან. ამისთვის მადლობას ვუხდი მამა იოანესა და რომის სამრევლოს.**

**შეხვედრაზე გამაცნეს თავიანთი მრავალმხრივი საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც ქართული ენის პოპულარიზაციას, ისე სახელოვნებო პროექტებს. ისინი ძალიან აქტიურები არიან. დავგეგმეთ, რომ მომავალი წლიდან უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ. როდესაც ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ევროპაში ჩვენი ხმა მკაფიოდ უნდა ისმოდეს, ამისათვის მნიშვნელოვანია ჩვენი დიასპორის აქტიურობა. მათ ჩვენი თანადგომა სჭირდებათ. ვფიქრობ, რომ საელჩო უკვე ძალიან კარგად არის ინტეგრირებული და ახლა კულტურის სამინისტროც ჩაერთვება, რათა კიდევ უფრო მეტი ერთობლივი პროექტი განვახორციელოთ“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**



# ფესტივალი „საჩუქარი“ გამარჯვებული პროექტით „მარო“ დაიხურა

**ფესტივალი „საჩუქარი“ პრემიერით დაიხურა – ბიენალე კოლეჯის გამარჯვებული პროექტით – „მარო“ (მარო მაყაშვილის დღიურის მიხედვით) ფიზიკური თეატრის კომპანია „ჰოი“.**

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის ინფორმაციით, თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრისგან ფესტივალის ყველა თანამშრომელს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქარი“ შენარჩუნებისა და განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელი გადაეცა. რეჟისორ ქეთი დოლიძეს ქართულ თეატრსა და კინოში შეტანილი წვლილისათვის გადაეცა მიხეილ თუმანიშვილის ჯილდო და სიკო დოლიძის სახელობის ჯილდო.

# ერთობლივი კონცერტი ეროვნულ სასახლეში

**ეროვნული სასახლის პირველი რესპუბლიკის დარბაზში, გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის და ვილნიუსის ჯაზ ანსამბლის ერთობლივი კონცერტი გაიმართა.**

ღონისძიება ორი კომპოზიტორის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. კონცერტზე გია ყანჩელის მინიატიურები და იევარას იასინსკის სიმფონიური პოემა შესრულდა.



# მესტიაში ლაღამის უბნის განახლების ახალი ეტაპი იწყება

**მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ ლაღამის უბნის რეაბილიტაციის ტენდერში კომპანია „არქიტექსმა“ გაიმარჯვა.**

მათივე ცნობით, კომპანია, კონტრაქტის ფარგლებში, მესტიის ისტორიული უბნის რამდენიმე სექტორის განახლების სამუშაოებს განახორციელებს.

**„პროექტი, რომელიც აზიის განვითარების ბანკისგან მიღებული სესხითა და სახელმწიფოს თანადაფინანსებით ხორციელდება, მოიცავს ისტორიული შენობების, მათ შორის კოშკებისა და მაჩუბების აღდგენას. რეაბილიტაციის ფარგლებში გათვალისწინებულია, ასევე, ტრადიციული არქიტექტურული შენობების რესტავრაცია, რეკონსტრუქცია და კონსერვაცია, რაც ლაღამის უბანს ავთენტურობას შეუნარჩუნებს.**

**რეაბილიტაციის პროცესში, შენობების გადახურვისთვის გამოყენებული იქნება ტრადიციული მასალები – ყავარი და ფიქალი, საჭიროების მიხედვით განხორციელდება, ასევე, გამაგრებისა და სახურავის მზიდი კონსტრუქციის შეცვლის სამუშაოები. პროექტის მიზანია, მესტიის ისტორიული უბნის კეთილმოწყობა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ტურისტული პოტენციალის განვითარება,“** – წერია ინფორმაციაში.



# აწყურში სლესის (მოქცევის) ციხე აღდგება

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში მდებარე, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სლესის (მოქცევის) ციხის რეაბილიტაციას განახორციელებს.**

სააგენტოს ინფორმაციითვე, სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში ციხის კედლები, კოშკები, გალავანი, ბურჯი და საყრდენი სტრუქტურები გამაგრდება, რესტავრაცია და კონსერვაცია ჩაუტარდება. ასევე, არქეოლოგების ზედამხედველობით, გაიწმინდება მტკვრის ნაპირზე მდებარე გვირაბის დაბოლოება. მოწესრიგდება ციხემდე მისასვლელი და შიდა ბილიკები და მიმდებარე ტერიტორია. რეაბილიტაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ძეგლის არსებული მდგომარეობა.

სლესის ციხე IX–X საუკუნეებით თარიღდება და ერთ-ერთი, სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი, საფორტიფიკაციო ნაგებობაა თორისა და სამცხის ისტორიულ საზღვარზე. 2006 წელს მას ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.



# ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ვარლას გამოფენა გაიხსნა

**22 ნოემბერს, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ფელიქს ვარლამიშვილის (ვარლა) გამოფენა გაიხსნა. ორგანიზატორების ინფორმაციით, ფელიქს ვარლამიშვილის შემოქმედება ორ კულტურულ რეგიონს უკავშირდება.**




წარმოშობით ქართველმა, ცხოვრების დიდი ნაწილი პარიზში გაატარა, ამიტომ მისი ხელოვნება, ისე, როგორც ქართული მხატვრობა, ამ ორი სამყაროს დასავლურ-აღმოსავლური კულტურის ნიშნებს მოიცავს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაზელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 26 ნოემბერს**